www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი, 19 ნოემბერი, 2013 წელი. | №3410 (217) | ფასი 50 თეთრი

ახალი მთავრობის ფორმირებაში პარლამენტი ერთვება



გიორგი მარგველაშვილის ინაუგურაციის შემდეგ კონსტიტუციაში ცვლილებები ამოქმედდა. ახალი კონსტიტუციის მიხედვით, საპარლამენტო უმრავლესობამ პრეზიდენტს პირველივე სამუშაო დღეს უნდა წარუდგინოს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა.

გუშინ საპარლამენტო უმრავლესობამ საქართველოს პრემიერ-მინისტრის პოსტზე ირაკლი ღარიბაშვილის კანდიდატურის წარდგენას მხარი ერთხმად დაუჭირა და დოკუმენტი ხელმოსაწერად პრეზიდენტს გადაუგზავნა.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

ახალი საკონსტიტუციო რეალობა

დათო გამყრელიძე

საქართველოს ახლად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე 2010 წელს მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებები ამოქმედდა. მოქმედი კონსტიტუციით, პრეზიდენტის ინსტიტუტი მნიშვნელოვნად დასუსტებულია: პრეზიდენტი აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაში აღარ მონაწილეობს, აღარ არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობებში, შესუსტდა მისი წამყვანი როლი როგორც საგარეო პოლიტიკის განსაზღვრის, აგრეთვე განხორციელების სფეროში. თუმცა, პრეზიდენტი საქართველოს საგარეო ურთიერთობებში წარმოადგენს. საქმე ის არის, რომ პრეზიდენტისა და მთავრობის უფლებები მკვეთრად გამიჯნული არ არის. როგორც კონსტიტუციონალისტები აღნიშნავენ, პრეზიდენტის აქტივობა უფრო მეტად ნაკარნახევია თანამშრომლობის და არა შეკავება-გაწონასწორების კომპონენტით. ეს გამოიხატება იმაში, რომ პრეზიდენტი სხვა სახელმწიფოებთან ან საერთაშორისო ორგანიზაციებთან მოლაპარაკებებს მხოლოდ მთავრობასთან შეთანხმებით აწარმოებს. აგრეთვე, მას მთავრობასთან შეთანხმებით შეუძლია საერთაშორისო ხელშეკრულების ან შეთანხმების დადება - საქმე ის არის, რომ პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილ ამ ტიპის დოკუმენტს პრემიერის კონტრასიგნაცია სჭირდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მთავრობის თანხმობის გარეშე დოკუმენტი ძალაში არ შევა.

ახლად ამოქმედებული საკონსტიტუციო ცვლილებების თანახმად, პრეზიდენტს ელჩებისა და სხვა დიპლომატიური წარმომადგენლების დასანიშნად პარლამენტის თანხმობა აღარ სჭირდება, თუმცა დასანიშნ ან გასათავისუფლებელ კანდიდატურებს პრეზიდენტს მთავრობა წარუდგენს.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

ყაზანში ავიაკატასტროფას 50 კაცი შეეწირა

ივა შილაკაძე

კვირა საღამოს ყაზანის აეროპორტში დაშვებისას კატასტროფა განიცადა ავიაკომპანია «ტატარსტანის“ კუთვნილმა ავიალაინერმა «ბოინგ 737-500“-მა (საბორტე ნომერი VQBBN), რომელიც მოსკოვის აეროპორტ «დომოდედოვოდან“ ყაზანში მიფრინავდა. დაიღუპა ავაიალაინერში მყოფი ყველა ადამიანი - 44 მგზავრი და ეკიაჟის 6 წევრი.

თვითმფრინავის ავარია მოსკოვის დროით 19:25 საათზე მოხდა.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

ცვლილებები „ქართულ ოცნებაში„

პრემიერ-მინისტრობის კანდიდატად ირაკლი ღარიბაშვილის დასახელებამდეც ცნობილი იყო, რომ მთავრობის მომავალი მეთაური ამავდროულად პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე გახდება. 24 ნოემბერს დანიშნულ პარტიის ყრილობაზე პარტიის თავმჯდომარეს ოფიციალურად აირჩევენ. ღარიბაშვილი, რომელსაც მინისტრთა-კაბინეტში საკადრო ცვლილებები, ფაქტობრივად, დაგეგმილი არ აქვს, პარტიაში სტრუქტურულ ცვლილებებს აპირებს.

«ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ პოლიტსაბჭოს შემადგენლობა 21-დან 15-მდე მცირდება. როგორც საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ელისო ჩაფიძე ამბობს, წევრთა რაოდენობის შემცირება იმან განაპირობა, რომ პოლიტსაბჭო სათათბირო ორგანო აღარ იქნება და მისი წევრები კონკრეტულ საკითხებზე კონკრეტულ პასუხისმგებლობას აიღებენ და მდივნების ფუნქციას შეასრულებენ.

პოლიტსაბჭოში დაგეგმილ ცვლილებებს მისი საქმიანობის ხარისხის ამაღლების სურვილით ხსნის უმრავლესობის წევრი გია ვოლსკი. **„კონკრეტულ პიროვნებებთან არანაირი პრობლემა არ ყოფილა, თუმცა ბევრი ადამიანი პოლიტსაბჭოს სხდომებზე დასწრებას ვერ ახერხებდა, მათი ნაწილი პარლამენტის წევრია, ამიტომ წევრთა რაოდენობა მცირდება,“** - აღნიშნა მან. თავად ვოლსკი კი პარლამენტში „ქართული ოცნების“ ფრაქციის თავმჯდომარე ხდება. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის თავმჯდომარე ზაქარია ქუცნაშვილს ჩაანაცვლებს.

გია ვოლსკი „ქართულ ოცნებაში“ ყველანაირ უთანხმოებას გამორიცხავს და აღნიშნავს, რომ ქუცნაშვილი ფრაქციის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წევრი იქნება.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6643⇓
1 ევრო	2.2110⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5933⇓
1 თურქული ლირა	0.8622⇓
100 რუსული რუბლი	5.0433⇓

თბილისი	31°C - 20°C
ქუთაისი	33°C - 20°C
ზუგდიდი	32°C - 21°C
ბათუმი	27°C - 21°C

ნავთობი	3.19	+0.00	+0.16%
გაზი	3.58	+0.11	+3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80	-0.56%
ხორბალი	868.50	+12.25	+1.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

19-წლამდელთა ნაკრებმა ჰოლანდია 2:1 დაამარცხა და ჯგუფში ჩატოვა

საქართველოს 19-წლამდელ ფეხბურთელთა ნაკრებმა «ლოკომოტივის“ სტადიონზე ჰოლანდიის ნაკრებს უმასპინძლა და 2:1 მოუგო. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ეგიდით გამართულ მატჩში ვასილ მაისურაძის გუნდმა დამაჯერებლად ითამაშა და გიორგი პაპუნაშვილისა და გიორგი აბურჯანიას გოლებით გაიმარჯვა.

გაგრძელება
მე-8 გვერდზე

116 ფილმი

თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის პროგრამის ვრცელი მიმოხილვა

ია ვეკუა

რამდენიმე დღის წინ „24 საათი“ თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის დეტალების შესახებ წერდა, ერთი კვირის შემდეგ კი პრაქტიკულად სრული პროგრამის მიმოხილვას შემოგთავაზებთ. ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის, რომ ფესტივალის მსვლელობისას წარმოდგენილი იქნება ავსტრიელი ულრიხ ზაიდლის ტრილოგია „სამოთხე“, მარგარეტ ფონ ტროტას „ჰანა არენდტი“, ასევე გაიმართება შეხვედრები ზაიდლთან და ფესტივალის საპატიო სტუმარ მაიკლ ჰოფმანთან, რომელიც წელს მთავარი საკონკურსო სექციის ჟიურის თავმჯდომარეც იქნება.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

„უკანასკნელი სადგური“

მოწმე - ბომბი

გია გვიჩიანის ადვოკატების შუამდგომლობა სააპელაციო სასამართლომ არ დააკმყოფილა

სააპელაციო სასამართლოში გუშინ უვადო პატიმრობაში მყოფ გია გვიჩიანის და ნიკა ჩემიას საქმეზე პროცესი გაიმართა.

პროცესზე შესავალი სიტყვა როგორც დაცვის, ასევე ბრალდების მხარემ წარმოთქვა.

გია გვიჩიანი 2006 წელს დააკავეს და იგი სასამართლომ 2002 წელს «თელასის» მენეჯერ ნიკა ლომინაძის მკვლელობის შემკვეთად ცნო. მანამდე გვიჩიანი „თელასში“ ექსპერტად მუშაობდა. აღნიშნულ საქმეზე, მასთან ერთად დააპატიმრეს ნიკა ჩემია, რომელსაც ასევე უვადო პატიმრობა აქვს მიჯილი.

გუშინდელი პროცესის დაწყებამდე ადვოკატებმა განაცხადეს, რომ ისინი ახალი შუამდგომლობის დაყენებას აპირებენ და იმედოვნებენ, რომ სასამართლო გვიჩიანის მიმართ გამამართლებელ განაჩენს გამოიტანს.

„გვექნება შუამდგომლობა, რომელიც ერთგვარი ბომბის აფეთქებაა და ბევრ რამეს ნათელი მოეფინება. ბრალდების მხარესაც კი ეჭვი აღარ დარჩება, რომ გამამართლებელი განაჩენი უნდა დადგეს,“ - აცხადებდა ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი, თუმცა რა შუამდგომლობაზე იყო საუბარი, არ აკონკრეტებდა.

მოგვიანებით გაირკვა, რომ ადვოკატების შუამდგომლობა საქმეში ახალი მოწმის დაკითხვას ეხებოდა, მაგრამ აღნიშნული შუამდგომლობა სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა.

ადვოკატების განცხადებით, მოწმე, რომლის დაკითხვასაც ისინი

სასამართლოზე ითხოვდნენ, მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობს. გუშინდელ პროცესზე შესავალი სიტყვების დასრულების შემდეგ ადვოკატებმა პროცესის დახურვა იმ მოტივით მოითხოვეს, რომ უნდა წარედგინათ აღნიშნული მოწმის დაკითხვის შუამდგომლობა, რომელიც ვინაობის გამხელისგან თავს იკავებს. პროცესი დაიხურა, თუმცა სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ ადვოკატებმა განაცხადეს, რომ მათი შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა, რის გამოც დაცვის მხარემ მოწმის ვინაობის გამხელისგან თავი შეიკავა.

გია გვიჩიანისა და ნიკა ჩემიას ადვოკატ მალხაზ ჯანგირაშვილის თქმით, აღნიშნული მოწმის ჩვენება მნიშვნელოვანი იყო და კიდევ არის დარჩენილი ბერკეტები, რომელთა საფუძველზე სასამართლოს ის ინფორმაცია მიეწოდება, რომელიც აღნიშნულ მოწმეს გააჩნია.

„ჩვენ, დაცვის მხარეს, მიგვაჩნია, რომ ეს შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილებულიყო, მაგრამ ვინაიდან არ დაკმაყოფილდა, ამ შუამდგომლობის შესახებ მეტ ინფორმაციას, სამწუხაროდ, ვერ მოგაწვდით. არსებობს ბერკეტები და არ არის გამორიცხული, რომ აღნიშნული მოწმის ინფორმაცია სასამართლოს მიეწოდოს. ამ ადამიანის ვინაობას, სამწუხაროდ, ვერ გავამხელთ, რადგან ეს შეიძლება, საფრთხის შემცველი იყოს და, აქედან გამომდინარე, მეტი კონკრეტიკისგან თავს ვიკავებთ,“ - განაცხადა მალხაზ ჯანგირაშვილმა.

გუშინდელ პროცესთან დაკავშირებით, პატიმრობაში მყოფმა გია გვიჩიანმა მიმართვა გაავრცელა, რომლის მეშვეობითაც მან საქართველოს სახალხო დამცველს, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას, ადამიანის უფლებადამცველ ორგანიზაციებს და მასობრივ საინფორმაციო საშუალებებს მიმართა და სააპელაციო სასამართლოში მიმდინარე პროცესების მონიტორინგი მოითხოვა. უვადო პატიმრობაში მყოფი გვიჩიანი თავს უდანაშაულოდ ცნობს და მიიჩნევს, რომ იგი სანდრო გირგვლიანის მკვლელობის გადაფარვის მიზნით დააკავეს.

გვიჩიანი იმედოვნებს, რომ მისი საქმის ხელახალი გადახედვისას სააპელაციო პროცესებით მედიის დაინტერესება სასამართლოს ობიექტურობას აამაღლებს.

„2006 წლის 7 მარტიდან ვიმყოფები უკანონო პატიმრობაში, შეთითხნილი ბრალდებით. ე.წ. სასამართლო განხილვა ჩატარებული იქნა საპროცესო ნორმების უპრეცედენტო დარღვევებით. უკანონო და აბსურდული განაჩენით, მოსჯილი მაქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა. 18 ნოემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოში გრძელდება ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქმის არსებითი განხილვა, სადაც ჩემი და ნიკა ჩემიას უდანაშაულობა უნდა დამტკიცდეს. თხოვნით მივმართავ სახალხო დამცველს, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას, ყველა არასამთავრებო უფლებადამცველ ორგანიზაციას, მოავლინონ წარმომადგენლები პროცესზე და განახორციელონ მონიტორინგი. ასევე თხოვნით მივმართავ ყველა საინფორმაციო საშუალების ხელმძღვანელს, მოავლინონ ჟურნალისტები სასამართლო პროცესზე, რათა საქმის განხილვა მოხდეს გამჭვირვალედ და საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი იყოს საქმის ყველა გარემოება, რაც გარანტია იქნება საქმის ობიექტური განხილვისა. დარწმუნებული ვარ, სამართალი აღსრულდება,“ - აღნიშნულია მიმართვაში.

გია გვიჩიანის და ნიკა ჩემიას საჩივრის შესახებ სააპელაციო სასამართლოში პროცესი 22 ნოემბერს 12:00 საათზე განახლდება და მხარეები მტკიცებულებებს წარადგენენ.

ახალი საკონსტიტუციო რეალობა

პირველი გვერდიდან

პრეზიდენტს თანამდებობის პირთა დანიშვნის, გათავისუფლების, ასარჩევად ან დასამტკიცებლად წარდგენის მიმართულებით მნიშვნელოვანი კომპეტენცია აქვს შენარჩუნებული. პრეზიდენტს უფლება აქვს, საქართველოს პარლამენტს ასარჩევად საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და წევრების კანდიდატურები წარუდგინოს. ამასთან, პრეზიდენტს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამი წევრის დანიშვნის უფლება აქვს. კვლავ პრეზიდენტის დაქვემდებარებაში რჩება

ეროვნული უშიშროების საბჭო.

კონსტიტუციონალისტი ავთანდილ დემეტრაშვილი კონსტიტუციის ახალ რედაქციაში ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად სახელმწიფოებრივ სტრუქტურებში სწორედ პრეზიდენტის როლს მიიჩნევს. **„აქამდე პრეზიდენტი რეალურად ხელისუფლების წყარო იყო, მას ჰქონდა კონკრეტული საკანონმდებლო და აღმასრულებელი უფლებამოსილებები, იგი გადამწყვეტი ფიგურა იყო სახელმწიფო ორგანოთა ფუნქციონირებასა და ფორმირებაში - დომინანტური როლი ჰქონდა, წამყვანი ფუნქცია ეკისრებოდა. ახალი რედაქციით, ეს ყველაფერი იცვლება და პრეზიდენტს აღარ აქვს აქტიური საკანონმდებლო უფლებამოსილებები, მას აღარ აქვს საკანონმდებლო ინიციატივების უფლება. შესაბამისად, აღარ აქვს უფლება, მოსთხოვოს პარლამენტს თავისი კანონპროექტების რიგგარეშე განხილვა. მას აღარ აქვს უფლება, მოიწვიოს პარლამენტის რიგგარეშე სესია ან სხდომა და იქ გაიტანოს თავისი საკითხი განსახილველად, ანუ მას აღარ აქვს შესაძლებლობა, მოახდინოს პარლამენტის დღის წესრიგის მონოპოლიზება,“** - ამბობს დემეტრაშვილი და დასძენს, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები ისე არ უნდა იყოს აღქმული, თითქოს პრეზიდენტი აბსოლუტურად უსუსური ხდება და მხოლოდ სიმბოლურ ფიგურად რჩება.

დემეტრაშვილის განმარტებით, პრეზიდენტის ფუნქცია მხოლოდ წითელი ლენტების ჭრა და ცერემონიალური როლის შესრულება არ იქნება. როგორც კონსტიტუციონალისტი აღნიშნავს, პრეზიდენტს საკანონმდებლო სფეროში პარლამენტზე გარკვეული ზეგავლენის შესაძლებლობები გააჩნია. **„პრეზიდენტს საკანონმდებლო ინიციატივების შესაძლებლობა არ აქვს, მაგრამ მას გააჩნია ვეტოს უფლება. ვეტოს უფლების გამოყენებით მას შეუძლია, გარკვეული ზეგავლენა მოახდინოს პარლამენტის საქმიანობაზე, თუმცა დღევანდელ კონფიგურაციაში ამის საჭიროება ალბათ არ იქნება, ვინაიდან პრეზიდენტი, პარლამენტი და მთავრობა ერთი პოლიტიკური გუნდის წარმომადგენლები არიან,“** - აღნიშნა ავთანდილ დემეტრაშვილმა.

რაც შეეხება პრეზიდენტის ფუნქციებს მთავრობის მიმართ, დემეტარშვილი ამბობს, რომ ამ შემთხვევაში პრეზიდენტს მხოლოდ ნომინალური ფუნქციები რჩება. **„თუ აქამდე პრეზიდენტს მთავრობის ფორმირებაში გადამწყვეტი როლი ჰქონდა, ახლა იგი მთავრობის გადაყენებას ან სამი ძალოვანი მინისტრის შეცვლას ვეღარ შეძლებს. პრეზიდენტს არ შეუძლია, კურატორობა გაუწიოს სამინისტროთა საქმიანობას; არ შეუძლია, გააუქმოს მთავრობის აქტები, მაგრამ შეუძლია, მოითხოვოს მთავრობის სხდომის მოწვევა და მასზე განხილულ იქნეს მის მიერ დასმული საკითხი, შეუძლია, სხდომაში თვითონ მიიღოს მონაწილეობა და მასთან ერთად იყვნენ უშიშროების საბჭოს წევრებიც,“** - ამბობს ავთანდილ დემეტრაშვილი.

კონსტიტუციონალისტი პრეზიდენტის სხვა უფლებამოსილებებზეც ამახვილებს ყურადღებას. დემეტრაშვილის თქმით, პრეზიდენტისთვის იმ ფუნქციების შემცირება (გარკვეული მინიშნებები კეთდება), რომლებსაც პირობითად სამეფო უფლებამოსილებებს უწოდებენ, გამართლებული არ იქნება. როგორც დემეტრაშვილი აღნიშნავს, პრეზიდენტს შეწყალების, მოქალაქეობის საკითხთა გადაწყვეტის, სპეციალური წოდებების, სპეციალური დიპლომატიური რანგების, ჯილდოების მინიჭების, არჩევნების დანიშვნის და სხვა უფლებები უნდა შეუნარჩუნდეს.

კონსტიტუციის ამჟამინდელი მოდელით საქართველო შერეული მმართველობის სისტემაზე გადავიდა, რომელსაც საპარლამენტო რესპუბლიკისთვის დამახასიათებელი მნიშვნელოვანი ელემენტები აქვს, მაგრამ პრეზიდენტის პირდაპირი არჩევის წესი შენარჩუნებულია, რაც ფორმალურად პრეზიდენტის, როგორც ცალკე მდგომი პოლიტიკური ფიგურის როლს ზრდის.

პრეზიდენტი არბიტრის ფუნქციის მატარებელია. კონსტიტუციის თანახმად, თუ მთავრობა და პარლამენტი ბიუჯეტის კანონზე ვერ თანხმდებიან, პარლამენტი მთავრობის მიერ წარდგენილი ბიუჯეტის პროექტის მიღებაზე უარს ამბობს, მაგრამ ამავდროულად მთავრობის გადაყენებისთვის საჭირო ხმებს ვერ აგროვებს, პრეზიდენტის მიმართ იმპერატიული მოთხოვნაა, რომ მან პარლამენტი დაითხოვოს და ვადამდელი

საპარლამენტო არჩევნები დანიშნოს.

პრეზიდენტს პარლამენტის დათხოვნის უფლება სხვა შემთხვევაშიც აქვს. კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტი პარლამენტის წინაშე პრემიერ-მინისტრობის კანდიდატად არჩევნებში საუკეთესო შედეგის მქონე სუბიექტის მიერ შერჩეულ პირს წარადგენს. პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი მინისტრთა კაბინეტის წევრობის კანდიდატებს თავად ასახელებს. პრეზიდენტი ამ პროცესში მხოლოდ იმ შემთხვევაშია აქტიური, როდესაც საპარლამენტო უმრავლესობა არ არსებობს და ვერც მისი შეკოწინება ხერხდება. თუ სხვადასხვა პროცედურებით შერჩეულ პრემიერ-მინისტრს და მის კაბინეტს, სამი მცდელობის მიუხედავად, პარლამენტი ნდობას არ გამოუცხადებს, პრეზიდენტი პარლამენტს დაითხოვს და რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებს დანიშნავს.

მოქმედი კონსტიტუციით, პრეზიდენტი სახელმწიფო მეთაურად და სამხედრო ძალების უმაღლეს მთავარსარდლად რჩება. პრეზიდენტი, მთავრობასთან შეთანხმებით, თანამდებობაზე ნიშნავს და გადააყენებს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსს და სხვა მხედართმთავრებს.

უფრო ქმედითი და ეფექტიანი გახდა პრეზიდენტის და სხვა თანამდებობის პირთა იმპიჩმენტის წესით გადაყენების პროცედურა, ვინაიდან იმპიჩმენტის ორივე საფუძველზე (კონსტიტუციის დარღვევა ან დანაშაულის ჩადენა) საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკმარისია და უზენაესი სასამართლოს მიერ დანაშაულის ნიშნების დადგენა საჭირო აღარ არის.

პრემიერ-მინისტრის ძალაუფლება

კონსტიტუციის მოქმედ მოდელში მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების პროცედურა უკიდურესად გართულებულია. უნდობლობის გამოცხადების საკითხის ინიცირება პარლამენტის წევრთა ორი მეხუთედით ხდება. უნდობლობის გამოცხადების საკითხი აღძრულად ჩაითვლება, თუ ამ გადაწყვეტილებას 20-25 დღის განმავლობაში პარლამენტის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი დაუჭერს მხარს. ამ დროიდან კიდევ 20-25 დღეში პარლამენტი კენჭს უყრის პარლამენტის სიითი შემადგენლობის არანაკლებ ორი მეხუთედის მიერ დასახელებული პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის პრეზიდენტისთვის წარდგენას. პრეზიდენტს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა წარედგინება, თუ მას პარლამენტის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი მხარს დაუჭერს.

პრეზიდენტს უფლება აქვს, პარლამენტის მიერ მისთვის წარდგენილი პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის წამოყენების საკითხს ვეტო დაადოს. ასეთ შემთხვევაში პარლამენტი, კანდიდატურის წარდგენიდან არაუადრეს 15 და არაუგვიანეს 20 დღისა, პრეზიდენტისთვის პრემიერ-მინისტრის იმავე კანდიდატურის წარდგენას კენჭს უყრის. პრეზიდენტის ვეტოს დაძლევას პარლამენტის სიითი შემადგენლობის სამი მეხუთედის მხარდაჭერა სჭირდება, რის შემდეგაც პრეზიდენტი ვალდებულია, 3 დღის ვადაში მისთვის წარდგენილი პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა წამოაყენოს.

მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადება ე.წ. უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის საფუძველზე ხდება, რაც მთავრობის მოქმედი შემადგენლობისთვის უნდობლობის გამოცხადებასთან ერთად, პარლამენტის მიერ მთავრობის ახალი შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადებას გულისხმობს.

მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების პროცედურა შესაძლოა, 3 თვეზე მეტხანს გაგრძელდეს.

მთავრობა და პრემიერ-მინისტრი გამორჩეულად დიდი უფლებამოსილებით არის აღჭურვილი. პრემიერ-მინისტრი განსაზღვრავს მთავრობის საქმიანობის მიმართულებებს, ორგანიზებას უწევს მთავრობის საქმიანობას, ახორციელებს მთავრობის წევრთა საქმიანობის კოორდინაციასა და კონტროლს. საქართველოს მთავრობა არის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, რომელიც ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. მთავრობა ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე. პრემიერ-მინისტრი და მინისტრები საგარეო ურთიერთობებში წარმოადგენენ საქართველოს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

2010 წელს მიღებულ საკონსტიტუციო ცვლილებებთან ერთად, ამოქმედდა კონსტიტუციაში 2011 წელს შესული შესწორება, რომლის თანახმად, კონსტიტუციის გადასინჯვისთვის საჭირო კვორუმი პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედიდან სამ მეოთხედამდე გაიზარდა. ამასთან, საკონსტიტუციო ცვლილების მისაღებად კენჭისყრები ორ თანამიმდევრულ სესიაზე, სულ ცოტა, სამი თვის ინტერვალით უნდა ჩატარდეს.

ცვლილებები „ქართულ ოცნებაში„

პირველი გვერდიდან

ვოლსკის თქმით, ფრაქციის თავმჯდომარის შეცვლა განპირობებულია იმით, რომ მომავალში ფრაქცია და პარტია აქცენტს საგარეო ურთიერთობებზე გააკეთებენ.

შეიძლება, ეს მიმართულება ერთი წლის განმავლობაში იყოს პრიორიტეტული. შემდეგ შესაძლოა, სხვა მიმართულება გახდეს მნიშვნელოვანი. ერთი წლის შემდეგ შესაძლოა, ზაქარია დაბრუნდეს ან თავმჯდომარედ სხვა პირი დაინიშნოს. ფრაქციის თავმჯდომარის ვინაობა ფრაქციისა და პარტიის ამოცანებზე იქნება დამოკიდებული,“ - ამბობს გია ვოლსკი.

პარტიის გენერალურ მდივანად კი ენერგეტიკის მინისტრი, ვიცე-პრემიერი კახა კალაძე ინიშნება. როგორც ელისო ჩაფიძე აღნიშნავს, ამ პოზიციაზე როტაციის პრინციპი დამკვიდრდა.

პარტიისგან განსხვავებით, ჯერჯერობით ცნობილი არ არის კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერის ვინაობა. გია ვოლსკი კოალიციის მომავალ ლიდერად ირაკლი ღარიბაშვილს მოიაზრებს. **კოალიციის იდეა ის არის, რომ ერთად ვიყოთ, პიროვნებების პრობლემა არ არის, რასაკვირველია, კოალიციას ირაკლი ღარიბაშვილი კიდევ გააერთიანებს,“** - თქვა ვოლსკიმ.

კოალიციის მომავალი ლიდერის შესახებ საუბრისას პარლამენტის თავმჯდომარის მრჩეველმა დავით ზურაბიშვილმა კი აღნიშნა, რომ კოალიციის საბჭო დებულებას შეიმუშავებს და ამის შემდეგ გახდება ცნობილი ინფორმაცია ხელმძღვანელობის შესახებ. ზურაბიშვილის თქმით, მისთვის უცნობია, კოალიციას კვლავ ერთი ლიდერი ეყოლება თუ ხელმძღვანელობის სტრუქტურა შეიცვლება.

დღემდე კოალიცია «ქართულ ოცნების“ ლიდერი ბიძინა ივანიშვილია.

საკუთარი ინფორმაცია

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ახალი მთავრობის ფორმირებაში პარლამენტი ერთვება

პირველი გვერდიდან

დავით საგანელიძის განცხადებით, გიორგი მარგველაშვილის ინაუგურაციის და კონსტიტუციაზე ფიცის დადების შემდეგ ქვეყანა ახალი კონსტიტუციით თვისობრივად ახალ სახელმწიფო წყობაზე - საპარლამენტო რესპუბლიკაზე გადავიდა.

„მოგეხსენებათ, ახალი კონსტიტუცია გულისხმობს, რომ პრეზიდენტის პირველივე სამუშაო დღეს უმრავლესობამ პრეზიდენტს უნდა წარუდგინოს მომავალი პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა. ახლა დამთავრდა უმრავლესობის სხდომა, სადაც პრემიერის პოსტზე წარდგენილი იყო ერთი - ბატონი ირაკლი ღარიბაშვილის კანდიდატურა. ამის შესახებ დიდი ხანია, საუბარი იყო, ფრაქციებს გადაწყვეტილება მიღებული ჰქონდათ, მაგრამ უმრავლესობა ამ თემაზე დღეს პირველად შეიკრიბა. უმრავლესობამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რომ პრეზიდენტს პრემიერ-მინისტრის პოსტზე ირაკლი ღარიბაშვილის კანდიდატურა წარუდგინოს,“ - განაცხადა საგანელიძემ.

მისივე თქმით, გეგმის მიხედვით, ოთხშაბათს უნდა შედგეს პარლამენტის სხდომა, პრემიერთან და პრეზიდენტთან შეხვედრები და ამავე დღეს უნდა დამტკიცდეს მთავრობის ახალი შემადგენლობა და პრემიერი.

„პრეზიდენტის თანხმობის შემდეგ მივიღებთ მის პასუხს. ამის შემდეგ დღეს, საღამოს, ქუთაისში, ჩატარდება პარლამენტის ბიუროს სხდომა. ბიუროს სხდომა განსაზღვრავს კომიტეტებსა და ფრაქციებში მთავრობის წევრებთან ხვალინდელი შეხვედრის დღის წესრიგს. მთავრობის შემადგენლობას უკვე ირაკლი ღარიბაშვილი წარმოადგენს და ჩვენ ვგეგმავთ, რომ ოთხშაბათს გვქონდეს პარლამენტის სხდომა, ასევე პრემიერთან და მთავრობასთან შეხვედრა და შესაბამისად, ამავე დღეს დამტკიცდება მთავრობის ახალი შემადგენლობა და პრემიერი,“ - განაცხადა საგანელიძემ.

საქართველოს ახალმა პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა პრემიერის პოსტზე ყოფილი შს მინისტრის კანდიდატურას გუშინვე მოაწერა ხელი, რის შემდეგაც ირაკლი ღარიბაშვილმა მინისტრთა კაბინეტის ახალი შემადგენლობა დაასახელა, რომელშიც სიახლე მხოლოდ ის არის, რომ ირაკლი ღარიბაშვილს შს მინისტრის პოსტზე ალექსანდრე ჭიკაიძე შეცვლის. პრემიერ-მინისტრობის კანდიდატმა განაცხადა, რომ მთავრობამ დაკისრებულ მოვალეობას თავი კარგად გაართვა და აქედან გამომდინარე, არც ერთი მინისტრი თანამდებობას არ დატოვებს.

„დღეს მე მინდა, წარმოგიდგინოთ ის გუნდი, რომელთან ერთადაც ვაპირებ მუშაობას. მათთან ერთად ერთი წელია, ვმუშაობ. შარშან ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა თავის გარშემო შემოიკრიბა ადამიანები, რომლებიც პატიოსნებით, პასუხისმგებლობის გრძნობით და პროფესიონალიზმით გამოირჩევიან. ამ ერთი წლის განმავლობაში მთავრობა იქცა ქმედით გუნდად, რომელმაც კარგად გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას. მე ერთი წელი ვიყავი ამ გუნდის წევრი და ისინი მუშაობაში მყავს გამოცდილი. თითოეულმა მინისტრმა თავდადებით იმუშავა 24-საათიან რეჟიმში და, შეიძლება ითქვას, აქამდე მოვიდა მნიშვნელოვანი შეცდომებისა და გადაცდომის გარეშე. როგორც ბატონი ბიძინა ბრძანებს, ეს ნამდვილად ევროპული გუნდია. ჩვენმა მინისტრებმა ამ ერთი წლის განმავლობაში დაამტკიცეს, რომ მზად არიან, ემსახურონ თავიანთ ხალხსა და ქვეყანას,“ - განაცხადა ღარიბაშვილმა. აქედან გამომდინარე, მისი თქმით, **„უკლებლივ ყველა მინისტრი გააგრძელებს მუშაობას.“**

კახი კალაძის თქმით, მას მომავალი პრემიერ-მინისტრის მიერ გამოცხადებული ნდობა „დიდ პასუხისმგებლობას“ აკისრებს. კალაძე ამაყობს საკუთარი უწყების ყველა თანამშრომლით, რადგან მათ ერთი წლის განმავლობაში თავდაუზოგავად იმუშავეს.

„პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით ენერგეტიკა პირველ ადგილზეა. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ინვესტიციები 7 პროცენტით არის გაზრდილი. ვფიქრობ, ოპოზიციაც უნდა ამაყობდეს ამით, რომ ენერგეტიკა იყო და არის ძალიან მნიშვნელოვანი დარგი. ჩვენ მომავალშიც ვიმუშავებთ ამ დარგის განვითარებისა და გაძლიერებისთვის,“ - აღნიშნა კალაძემ.

თეა წულუკიანმა ირაკლი ღარიბაშვილს ნდობის გამოცხადებისთვის მადლობა გადაუხადა. **„ახალი სტილი მუშაობის იქნება ის, რაც ალბათ კოჰაბიტაციის დასასრულისთვის დამახასიათებელი სტილია ანუ ჩვენ, როგორც იქნა, მოგვეცა საშუალება, რომ უკვე მთლიანად, გუნდურად ვიმუშავოთ ხელისუფლების ყველა შტომ. ეს ხელს შეუწყობს იუსტიციის სამინისტროში იმ რეფორმების ბოლომდე მიყვანას, რომლებიც დავიწყეთ და რომლებიც მთლიანი გუნდის ძალისხმევის პირობებში მიგვიყვანს ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერამდე პარაფირებიდან რამდენიმე თვეში,“** - აღნიშნა წულუკიანმა.

მაია ფანჯიკიძის განცხადებით, საქართველოს მთავრობის პრიორიტეტებად საგარეო პოლიტიკური კუთხით კვლავ რჩება ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია.

„ყველა დანაპირები, რომლებიც იყო 2012 წლისთვის, იგივე დარჩება. საგარეო-პოლიტიკური კუთხით კი ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია საქართველოს მთავრობის ძირითად პრიორიტეტებად რჩება,“ - აღნიშნა ფანჯიკიძემ.

ირაკლი ალასანიას განცხადებით, მთავრობის მიერ ბიძინა ივანიშვილთან ერთად შემუშავებული გეგმების განხორციელება ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერ-მინისტრობის პირობებშიც გაგრძელდება.

„დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი მთავრობა იქნება ეფექტური და მუშა. ირაკლი ღარიბაშვილი, როგორც პრემიერი, აგრძელებს გუნდთან მუშაობას, რომლის წევრიც თავად იყო და ჩვენ მართლაც გამოვცადეთ ერთმანეთი საქმეში. დარწმუნებული ვარ, რომ ახალი შემარეთებით, როცა მთავრობა დამტკიცდება, შევასრულებთ იმ გეგმებს, რომლები შემდეგი წლებისთვის გვქონდა გაწერილი,“ - აღნიშნა ალასანიამ.

რაც შეეხება გაერთიანებული შტაბის გენერალურ შტაბად გარდაქმნის საკითხს, ალასანიამ აღნიშნა, რომ ამას კონსტიტუციის ახალი რედაქცია ითვალისწინებს.

„გაერთიანებული შტაბის გარდაქმნა კონსტიტუციის ახალი რედაქციით იყო დაგეგმილი. ამიტომაც ხდება გაერთიანებული შტაბის გენერალურ შტაბად გადაკეთება და სწორედ ამან გამოიწვია ცვლილებები პირად შემადგენლობაში,“ - განმარტა ირაკლი ალასანიამ.

რაც შეეხება გაერთიანებული შტაბის უფროსად ვახტანგ კაპანაძის კანდიდატურას, თავდაცვის მინისტრობის კანდიდატის თქმით, ეს საკითხი მთავრობამ უნდა გადაწყვიტოს, კონკრეტულად კი - პრემიერ-მინისტრმა და პრეზიდენტმა.

„სწორედ ამიტომ ამ საკითხზე მთავრობასა და პრეზიდენტს შორის კონსულტაციები მთავრობის დამტკიცების შემდეგ დაიწყება და ეს საკითხი ორ შტოს შორის იქნება შეთანხმებული,“ - აღნიშნა ირაკლი ალასანიამ.

მინისტრთა კაბინეტის ახალი შემადგენლობის წარდგენის შემდეგ, გუშინ, საღამოს 18:00 საათზე პარლამენტის ბიუროს სხდომა დაიწყო, რომელზეც ახალი მინისტრთა კაბინეტისთვის ნდობის გამოცხადების საკითხი განიხილეს.

დეპუტატ ზურაბ აბაშიძის განმარტებით, ბიუროს სხდომის გამართვის შემდეგ, რომელმაც სამუშაო დღის წესრიგი უნდა განსაზღვროს, კომიტეტებში მოხსენებებით წარდგებიან მინისტრობის ის კანდიდატები, რომლებსაც ირაკლი ღარიბაშვილი დაასახელებს.

„ოთხშაბათს კი, პრეზიდენტის მოწვევით, რიგგარეშე სესია გაიმართება, რომელზეც ახალ მთავრობას დავამტკიცებთ,“ - აღნიშნა აბაშიძემ.

ბიუროს სხდომაზე გადაწყდა, რომ პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი ირაკლი ღარიბაშვილი საპარლამენტო უმრავლესობასა და უმცირესობას განახლებულ მინისტრთა კაბინეტს 19 ნოემბერს წარუდგენს. ამავე დღეს საპარლამენტო კომიტეტების ფორმატში მინისტრობის კანდიდატებთან შეხვედრები გაიმართება. ყველა კომიტეტი საკუთარი პროფილის მინისტრობის კანდიდატს მოუსმენს.

ბიუროს გადაწყვეტილებით, მთავრობის წევრობის კანდიდატებთან შეხვედრები და მათი მოსმენა მთელი დღის განმავლობაში გაგრძელდება. დღის ბოლოს კი ბიუროს სხდომა ჩატარდება, სადაც ბიუროს წევრები დღის განმავლობაში გამართულ შეხვედრებს შეაჯამებენ.

ამასთან, პარლამენტის ბიურო პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს პარლამენტის რიგგარეშე სხდომის დანიშვნის წინადადებით მიმართავს.

საპარლამენტო უმცირესობა კი მთავრობის შემადგენლობის დაჩქარებული წესით დამტკიცებას ეწინააღმდეგება. „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის ზურაბ ჯაფარიძის თქმით, მინისტრთა კაბინეტის იმ შემადგენლობამ, რომელიც ღარიბაშვილმა წარადგინა, გასული ერთი წლის განმავლობაში ქვეყნის მთავარი გამოწვევები გადაუჭრელი დატოვა.

„საღამოს დაასახელებს პრემიერობის კანდიდატი მთავრობის შემადგენლობას. „ქართული ოცნება“ აპირებს, მთავრობის ეს შემადგენლობა ამ კვირაში დაჩქარებული წესით გაიტანოს პარლამენტში და დაამტკიცოს. ორ დღეში აპირებენ მთავრობის დამტკიცებას. ჩვენი აზრით, მთავრობის ამ შემადგენლობამ აჩვენა, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში, ქვეყნის მთავარი გამოწვევები, ეკონომიკა, დასაქმების პრობლემა გადაუჭრელი დარჩა,“ - აღნიშნა ჯაფარიძემ.

მისივე თქმით, მთავრობამ უკიდურესი არაკომპეტენტურობა და უუნარობა გამოიჩინა.

„ნაცვლად იმისა, რომ შეესრულებინათ დაპირებები, ჩვენ მივიღეთ ეკონომიკური სტაგნაცია, შემოსავლების შემცირება, იმპორტის მკვეთრი ვარდა, დამატებითი ღირებულების ბრუნვის შემცირება. სახეზეა საბიუჯეტო შემოსავლების მკვეთრი ვარდნა, ბიუჯეტს, დღევანდელი მდგომარეობით, 700 მილიონ ლარამდე აკლია,“ - აცხადებს ჯაფარიძე.

დეპუტატის თქმით, წლევანდელი წელი კარგი უნდა ყოფილიყო და ყველა მომდევნო წელი უკეთესი, თუმცა პირიქით ხდება.

„ეს წელი ცუდი იყო, მომავალი წელი - უარესი და ამის თქმის საშუალებას გვაძლევს შემოტანილი ბიუჯეტი. 7,5-პროცენტიანი ზრდა 1,3-პროცენტიან ზრდამდე ჩამოვიდა,“ - აღნიშნა ჯაფარიძემ.

პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილის თქმით, მნიშველოვანია, რომ მთავრობის დამტკიცების საკითხი დროში არ გაიწელება და ეს 20 ნოემბერს რიგგარეშე პლენარულ სხდომაზე მოხდება.

„დღევანდელ დღის წესრიგში მთავარი საკითხი ახალი მთავრობის დამტკიცებაა. ღარიბაშვილმა საქართველოს პარლამენტს უკვე წარუდგინა მთავრობის შემადგენლობა და სამთავრობო პროგრამა. შესაბამისად, დღეიდან საქართველოს პარლამენტი სრული შემადგენლებით ერთვება ამ პროცესში. ცნობილია სამთავრობო საკითხის განხილვის გრაფიკი საპარლამენტო კომიტეტებზე, რომელიც ხვალ, 12:00 საათიდან დაიწყება. დაგეგმილია ერთობლივი კომიტეტის სხდომებიც. ოთხშაბათს, 20 ნოემბერს, სავარაუდოდ, 14:00 საათიდან პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დაიწყება მთავრობის მოხსენების განხილვა და მომხსენებელი იქნება პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი. სამთავრობო პროგრამა, რომელიც წარმოდგენილია პარლამენტში, ცხადია, ეფუძნება კოალიცია „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამას. მოგეხსენებათ, მთავრობის შემადგენლობაში მხოლოდ ერთი ცვლილებაა. დანარჩენი ეს არის გუნდი, რომელიც ერთი წელია, მუშაობს. შესაბამისად, ამ პროგრამაში რამე სიახლეს არ უნდა ველოდოთ, თუმცა არის ბევრი მნიშვნელოვანი ასპექტი, რომლებიც კომიტეტის სხდომებზე იქნება განხილული,“ - განაცხადა უსუფაშვილმა.

მისივე განმარტებით, საპარლამენტო უმცირესობასთან მთავრობის დამტკიცების ვადები უკვე გარკვეულია, თუმცა ისინი მხარს მაინც არ უჭერენ.

„თუკი ისინი მზად არიან, მთავრობას ხმა მისცენ სამი კვირის თავზე, მზად ვარ, ეს საკითხი განვიხილო. უმცირესობა სამთავრობო პროგრამას ხმას ალბათ იმიტომ არ დაუჭერს, რომ რიგ საკითხებზე პრობლემები აქვთ. ასე რომ არ ყოფილიყო, ისინი ჩვენ გვერდით იქნებოდნენ. ამასობაში ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ მათი შენიშვნები არ გვაინტერესებს. თუკი რამე საინტერესო ექნებათ, აუცილებლად გავითვალისწინებთ. რაც შეეხება განხილვის პროცედურებს, ყველა ეს საკითხი უმცირესობასთან ძალიან ადრეულ ეტაპზე იქნა გამოკვეთილი და შეთანხმებული,“ - განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

დავით ბეჟუაშვილმა საპარლამენტო უმცირესობა დატოვა

თეთრიწყაროს რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა დავით ბეჟუაშვილმა საპარლამენტო უმცირესობა დატოვა. ამის შესახებ ინფორმაცია „ინტერპრესნიუსს“ საპარლამენტო უმცირესობაში დაუდასტურეს.

პარლამენტის საპროცედურო კომიტეტის თავმჯდომარე ირინა იმერლიშვილის განცხადებით, ფრაქცია «ნაციონალური მოძრაობის» დატოვების შესახებ ბეჟუაშვილის განცხადება კომიტეტში უკვე შესულია.

ბეჟუაშვილი საქართველოს მე-5 მოწვევის პარლამენტის წევრი 1999 წელს გახდა, ხოლო 2004 წელს - მე-6 მოწვევის პარლამენტის წევრი იყო. 2008 წელს, მე-7 მოწვევის პარლამენტში ბეჟუაშვილი თეთრიწყაროს მაჟორიტარი დეპუტატი იყო, ხოლო 2012 წელს, 8-ვე მოწვევის პარლამენტში ამავე რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ისევ „ნაციონალური მოძრაობიდან“ გახდა.

არსებული ინფორმაციით, საპარლამენტო უმცირესობა შესაძლოა, კიდევ ერთმა დეპუტატმა კობა ნაყოფიამ დატოვოს.

მთავრობა სავიზო რეჟიმს ამკაცრებს

საქართველოს მთავრობა სავიზო რეჟიმს და იმიგრაციულ პოლიტიკას ამკაცრებს. საქართველოში სადღეისოდ უვიზოდ შემოსვლა და 360 დღის განმავლობაში დარჩენა მსოფლიოს 118 ქვეყნის მოქალაქეს შეუძლია, მათ კი, ვისაც ვიზა ესაჭიროება, გამარტივებულად - უმეტეს შემთხვევაში, საზღვრებზე იღებს. ამიერიდან კანონი აღარ მოიცავს იმ ქვეყნების ნუსხას, რომლის მოქალაქეებს საქართველოში უვიზოდ შემოსვლის უფლება მიეცემათ. აღნიშნული ქვეყნები მთავრობის დადგენილებით განისაზღვრება.

საქართველოში უცხოელთა ყოფნის საფუძვლები, ვიზის და ბინადრობის ნებართვის აღებისთვის საჭირო პროცედურები, ასევე საქართველოდან უცხოელთა გაძევების საფუძვლები და პროცედურები „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონპროექტით მთლიანად გადაიხედა. ამ მიმართულებით სრულიად ახალი საკანონმდებლო ინიციატივა მიგრაციის საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისიამ მოამზადა და ის პარლამენტს უკვე წარედგინა.

კანონის მოქმედი რედაქციით, საზღვარგარეთ ვიზას საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები და საკონსულო დაწესებულებები გასცემენ, საზღვარზე - შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი, ხოლო ქვეყნის შიგნით მყოფ უცხოელებზე ვიზის მოქმედების ვადას იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების სააგენტო აგრძელებს.

პარლამენტში წარდგენილი პროექტის თანახმად კი, სახელმწიფო სერვისების სააგენტოს უცხოელებზე ვიზის მოქმედების ვადის გაგრძელების უფლება ერთმევა. საქართველოს ვიზის გაცემა მხოლოდ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულოების მიერ მოხდება და მხოლოდ ცალკეულ განსაკუთრებულ შემთხვევებში ამას განახორციელებს შინაგან საქმეთა სამინისტრო - სასაზღვრო გამტარ პუნქტებზე. ვიზის გაცემის განსაკუთრებული შემთხვევები მთავრობის დადგენილებით განისაზღვრება.

პარლამენტში წარდგენილი ინიციატივით, ვიზის კატეგორიებს საიმიგრაციო ვიზა დაემატება, ხოლო სამსახურებრივი ვიზის კატეგორია სპეციალური ვიზის კატეგორიით იცვლება. ამასთანავე, კანონპროექტით განისაზღვრება ვიზის ორი ტიპი - მოკლევადიანი და გრძელვადიანი.

პროექტით, მოკლევადიანი ვიზა შეიძლება გაიცეს უცხოელის მიერ სავიზო განაცხადში მითითებული დღეების რაოდენობის შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს 30 დღისა. მრავალჯერადი ვიზა იმ უცხოელებზე გაიცემა, რომელთაც წინა წელს მიღებული აქვთ საქართველოს ერთი ვიზა მაინც, რომელიც გამოიყენეს და არსებობს მრავალჯერადი ვიზის მოთხოვნის საფუძველი. გრძელვადიანი ვიზა კი გაიცემა მრავალჯერადი შესვლის უფლებით 90 კალენდარული დღის მოქმედების ვადით და წარმოადგენს დიპლომატიური აკრედიტაციის ან ბინადრობის ნებართვის მიღების წინაპირობას.

იცვლება ბინადრობის ნებართვის გაცემის წესებიც. კერძოდ, გაუქმებულია მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემის შესაძლებლობა პირებზე, რომელთაც საქართველოს მოქალაქეობა შეუწყდათ სხვა ქვეყნის მოქალაქეობის გამო. იზღუდება იმ პირთა წრეც, რომელზეც ოჯახის გაერთიანების საფუძვლით ბინადრობის უფლება გაიცემა. კერძოდ, გაუქმებულია საქართველოში ბინადრობის ნებართვის მქონე უცხოელის შვილიშვილზე, და-ძმაზე, ბაბუასა და ბებიაზე ბინადრობის ნებართვის გაცემის შესაძლებლობა.

კანონპროექტის ერთ-ერთი სიახლე უცხოელების საქართველოდან გაძევების დეტალური რეგლამენტაციაა. პროექტით, გაძევების მიმღებ ორგანოდ შსს განისაზღვრება და უცხოელი საქართველოდან შეიძლება გაძევებული იქნეს რამდენიმე მიზეზით, მათ შორის ისეთ შემთხვევაში, თუ იგი კანონიერი საფუძვლის გარეშე შემოვიდა საქართველოში. თუმცა, ქვეყნიდან არ შეიძლება გაძევებული იქნეს უცხოელი, რომელიც საქართველოს მოქალაქის მეურვეობის ან მზრუნველობის ქვეშ იმყოფება.

რაც შეეხება ადმინისტრაციულ ჯარიმებს, უცხოელი 180 ლარით დაჯარიმდება იმ შემთხვევაში, თუ ის საქართველოში კანონიერად ყოფნის ვადის ამოწურვის დღიდან სამ თვემდე პერიოდში ქვეყანას არ დატოვებს. თუ უცხოელი ამ ვადას სამ თვეზე მეტხანს გააგრძელებს, ის 360 ლარით დაჯარიმდება. ამასთან, უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტის წესების დარღვევა 100 ლარით დაჯარიმებას გამოიწვევს, ხოლო თუ საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირები ან ფიზიკური პირები უცხოელების ან მოქალაქეობის არმქონე პირების მოწვევას, მომსახურებას, საქართველოში ცხოვრებას, მუშაობასა და სწავლას არსებული წესის დარღვევით უზრუნველყოფენ, ისინი 1000 ლარით დაჯარიმდებიან. ამასთანავე, თუ გადამყვანი კომპანიები კანონით დადგენილ წესებს დაარღვევენ, სახმელეთო ტრანსპორტირების შემთხვევაში ჯარიმა 300 ლარი იქნება, საზღვაო ტრანსპორტის შემთხვევაში - 1000 ლარი, საჰაერო ტრასპორტის შემთხვევაში კი - 1500 ლარი.

„არსებული სავიზო პოლიტიკის შედეგად ქვეყანაში დაურეგულირებელი იმიგრაციული პროცესები წარმოიშვა, რომელთა მოსაწესრიგებლად უპირველეს აუცილებლობას სავიზო პოლიტიკის შეცვლა და უფლებამოსილი ორგანოს განსაზღვრა წარმოადგენს, რომელიც განახორციელებს კონტროლს ქვეყანაში უცხოელთა ლეგალურად შემოსვლასა და ყოფნაზე,“ - განმარტავს პროექტის ავტორი და ინიციატორი სამთავრობო კომისია.

სირიელი მეამბოხეების ლიდერი თურქეთში გარდაიცვალა

„როიტერის“ ცნობით, სირიელი მეამბოხეების ერთ-ერთი ლიდერი, რომელიც ალეპოში ბაშარ ალ-ასადის სამთავრობო ძალების მიერ განხორციელებული საჰაერო იერიშის შედეგად დაიჭრა, თურქეთის საავადმყოფოში გარიდაცვალა. აბდელქადარ სალეჰის გარდა, ხუთშაბათს განხორციელებული საჰაერო იერიშის შედეგად სხვა ამბოხებულებიც დაშავდნენ. 30 წლის სალეჰი, სანამ დაშავდებოდა, ალეპოში მებრძოლების შეგროვებაზე მუშაობდა. ამ ქალაქში მეამბოხეებისა და სამთავრობო ძალების ბრძოლების შედეგად უპირატესობას ამ დროისთვის ასადის ძალები ფლობენ. ამის მიზეზად კი ასადის ძალებისთვი ლიბანური „ჰეზბოლასა“ და ერაყელი შეიარაღებული მებრძოლების დახმარებას ასახელებენ. ვალში არც ამბოხებულები რჩებიან. დამასკოს გარეუბანში ძლიერ აფეთქებას 31 სამხედრო ემსხვერპლა. დაუდასტურებელი ინფორმაციით, დაღუპულებს შორის სამი გენერალია. «ფრანს-პრესის» ინფორმაციით, აფეთქებაზე პასუხისმგებლობა დაჯგუფება «Direh al-Aasmeh»-მა აიღო, რომელიც ე.წ სირიის თავისუფალი არმიის შემადგენლობაში შედის. ამბოხებულებმა ასაფეთქებელი მოწყობილობა სირიის შეირაღებული ძალების შენობასთან დაამონტაჟეს. ქვეყანაში დაპირისპირება 2011 წლის მარტში დაიწყო, რასაც 110 000 ადამიანზე მეტი შეეწირა.

საფრანგეთი «ირანის საკითხში» მტკიცედ დგომას აპირებს

საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი სამდღიანი ვიზიტით ისრაელში ჩავიდა. კვირას ოლანდი შეეცადა, ისრაელი დაერწმუნებინა, რომ საფრანგეთი ირანისთვის სანქციების შემსუბუქებას კვლავ შეეწინააღმდეგება. ცოტა ხნის წინ ირანსა და „ექვსეულს“ შორის ამ ქვეყნის ბირთვული პროგრამის გარშემო მიმდინარე მოლაპარაკებების დროს, მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები ირანს, მის მიერ ბირთვულ პროგრამაზე მუშაობის სანაცვლოდ, სანქციების შემსუბუქებას შეჰპირდნენ. მორიგი შეხვედრა რამდენიმე დღეში არის დანიშნული. „სანამ არ დავრწმუნდებით, რომ ირანი ბირთვული იარაღის ფლობაზე მართლაც უარს ამბობს, მანამ ჩვენ მიერ დაწესებული სანქციები და მოთხოვნები კვლავ ძალაში დარჩება,“ - განაცხადა ოლანდმა თელავივის აეროპორტში. ოლანდის სამდღღიანი ვიზიტის შემდეგ ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ ოთხშაბათს მოსკოვში გაემგზავრება, სადაც რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინს შეხვდება, პარაკევს ისრაელში დაბრუნებული კი ამერიკის სახელმწიფო მდივანს - ჯონ კერის. ისრაელი ირანისთვის სანქციების შემსუბუქებას მკაცრად ეწინააღმდეგება, თუმცა ამერიკა აღნიშნულს სერიოზულად განიხილავს. „იმედია, ამ კვირის მანძილზე შევძლებთ და ჩვენს მეგობრებს დავარწმუნებთ, რაც შეიძლება კარგი შეთანხმება დადონ,“ - აღნიშნა ცოტა ხნის წინ ისრაელის პრემიერმა.

ეგვიპტეში მატარებლის ავარიას 20-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა

„როიტერის“ ცნობით, კაიროსთან ახლოს მატარებლის ავარიას 20-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა და 20 დაშავდა. ეგვიპტურ სააგენტო MENA-ს ცნობით, მატარებელი ასვანადან მიდიოდა. ეგვიპტეში მატარებლის ავარიები იშვიათი არ არის. მოსახლეობის თქმით, მთავრობა უსაფრთხოების ელემენტარულ ზომებს ვერ უზრუნველყოფს. „ჩვენ ამ შემთხვევას ვიძიებთ და განცხადებას შემდეგ გავავრცელებთ,“ - აღნიშნა ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა. ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული შემთხვევა 2002 წელს მოხდა, როდესაც ხალხით სავსე მატარებლის ვაგონებს ცეცხლი გაუჩნდა, რამაც 360 ადამიანი იმსხვერპლა.

სნოუდენი: ავსტრალია ინდონეზიის პრეზიდენტის მოსმენას ცდილობდა

„გარდიანის“ ცნობით, ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ყოფილმა თანამშრომელმა ედუარდ სნოუდენმა ახალი დოკუმენტები გაავრცელა, რომელთა მიხედვითაც, ავსტრალიის დაზვერვა ინდონეზიის პრეზიდენტ სუსილო ბამბანგ იუდიაონოს, მისი მეუღლის, ასევე ქვეყნის ვიცეპრეზიდენტის სატელეფონო საუბრების მოსმენას ცდილობდა. 2009 წლით დათარიღებულ დოკუმენტში საუბარია, რომ ავსტრალია პრეზიდენტის გარემოცვის 9 პირის მოსმენას შეეცადა. ჯაკარტამ უკვე მოსთხოვა კანბერას ამ ინფორმაციის შესახებ კომენატარის გაკეთება.

ილინიოსში ტორნადომ 6 ადამიანი შეიწირა

„სი-ენ-ენ“-ის ცნობით, ამერიკის შტატ ილინიოსში ტორნადოს 6 ადამიანი ემსხვერპლა. სტიქიამ ათობით სახლი დაანგრია, მაშველები ნანგრევებს შორის ხალხის პოვნას და გადარჩენას ცდილობენ. ოჰაიოში, მიჩიგანსა და ინდიანაში ძლიერი ქარის გამო ელეტროენერგიის მიწოდება ათი ათასობით მცხოვრებს შეუწყდა.

გამოსვლები ბულგარეთში

გასულ უქმეებზე ბულგარეთში სოციალისტური მთავრობის მომხრეებისა და მოწინააღმდეგეების გამოსვლები მოეწყო. ყველაზე მსხვილი გამოსვლა ოპოზიციური პარტია „გერბის“ მიერ იყო ორგანიზებული. დემონსტრანტები მთავრობის გადადგომას ითხოვდნენ, რომელსაც კორუფციასა და არაკომპეტენტურობში ადანაშაულებენ. ქვეყნის პრემიერმა პლამენ ორეშანსკიმ კი ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ გადადგომას არ აპირებს და რეფორმების დაჩქარების პირობაც დადო. დღევანდელი მთავრობა ქვეყანას მაისიდან მოყოლებული მართავს. ბულგარეთი ევროკავშირის ყველაზე ღარიბი წევრია. ის ამ ორგანიზაციაში 6 წლის წინ გაერთიანდა. გაწევრიანებამდე ბევრი ბულგარელი იმედოვნებდა, რომ ამ ორგანიზაციის წევრობით ქვეყანა კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის დამარცხებას ბოლოდე შეძლებდა. თუმცა, დღეს მოსახლეობა აცხდებს, რომ პოლიტიკური ელიტა მხოლოდ საკუთარი ინტერესებისთვის მუშაობს.

მოამზადა თამთა კახაძემ

ჩილეში პირველ ტურში ბაჩელეტი ლიდერობს

ივა შილაკაძე

მიშელ ბაჩელეტი

ჩილეში კვირას საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა. გუშინ უკვე წინასწარი შედეგები გამოქვეყნდა, რომლის თანახმადაც, პირველ ადგილზეა მემარცხენე ცენტრისტული კოალიციის კანდიდატი, ექს-პრეზიდენტი მიშელ ბაჩელეტი. თუმცა პირველივე ტურში გამარჯვებისთვის მას ხმები არ ეყო. ეს წინასწარი სოციოლოგიური გამოკითხვებითაც მოსალოდნელი იყო. საერთოდ, ჩილეში პირველივე ტურში გამარჯვების პრეცედენტი ბოლო ათწლეულებში, პინოჩეტის დიქტატურის შემდეგ, არც ყოფილა.

მიშელ ბაჩელეტს პრეზიდენტის თანამდებობა 2006-2010 წლებში ეკავა. ჩილეს კონსტიტუციით, ამ პოსტის ორჯერ ზედიზედ დაკავება არ შეიძლება, თუმცა ექს-პრეზიდენტებს აქვთ უფლებ,ა პაუზის შემდეგ კვლავ იყარონ კენჭი. მიშელ ბაჩელეტი 8 წლის წინ გახდა პირველი პრეზიდენტი ქალი ჩილეს ისტორიაში. წელს ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ ის შეიძლება, პირველი პოლიტიკოსი გახდეს, რომელიც ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში მეორედ დაიკავებს ქვეყნის ხელმძღვანელის პოსტს.

პირველი ტურის შემდეგ ბაჩელეტს ხმების 46,68 პროცენტი აქვს, ხოლო მის მთავარ კონკურენტს, ეველინ მატეის - 25,01 პროცენტი. წელს პირველად, ჩილეში ხმის მიცემა ნებაყოფლობითი იყო, აქამდე ამომრჩევლები ვალდებულნი იყვნენ, მისულიყვნენ საარჩევნო უბნებზე. შესაბამისად, ეს დასწრების პროცენტზე აისახა. დაახლოებით 13 მილიონი ამომრჩევლიდან თავისი პოზიცია 56-მა პროცენტმა დააფიქსირა.

საპრეზიდენტო არჩევნების გარდა, ჩილეში ირჩევდნენ პარლამენტის -ეროვნული კონგრესის ქვედა პალატას - 120 დეპუტატს და ზედა პალატის, დაახლოებით, ნახევარს - 20 სენატორს 38-იდან.

62 წლის მიშელ ბაჩელეტი სოციალისტების, ქრისტიან-დემოკრატებისა და კომუნისტების კოალიციას უდგას სათავეში. თავისი წინასაარჩევნო კამპანია მან მდიდრებსა და ღარიბებს შორის განსხვავების შემცირებაზე ააგო. ჩილე ლათინური ამერიკის ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაა, თუმცა ბოლო პერიოდში იქ საპროტესტო მოძრაობა იზრდება. ხალხი შემოსავლების უფრო სამართლიან გადანაწილებას და განათლების ხელმისაწვდომობას მოითხოვს. მიშელ ბაჩელეტის პროგრამა ითვალისწინებს გადასახადების გაზრდას კორპორაციებისა და მოსახლეობის მდიდარი ფენებისთვის. ბიუჯეტში შესული სახსრების საფუძველზე კანდიდატს სურს, განათლება უფასო გახადოს. ამას გარდა, ის აპირებს პოლიტიკურ და ეკონომიკური სფეროებში რეფორმების გატარებას, რადგან იქ ბევრი რამ ჯერ კიდევ პინოჩეტის 17-წლიანი მმართველობის (1973-1990 წლები) პერიოდიდან ხელუხლებლად არის დარჩენილი. თუმცა ამას კონსტიტუციაში ცვლილებებების შეტანა დასჭირდება. მიმომხილველების შეფასებით, მიშელ ბაჩელეტის ეს ახალი პროგრამა ბევრად უფრო რადიკალურია, ვიდრე წინა საპრეზიდენტო მმართველობის პროგრამა.

მეორე ადგილზე გასული 60 წლის ეველინ მატეი მოქმედი მემარჯვენე-კონსერვატიული ხელისუფლების კანდიდატია. იგი «დამოუკიდებელ დემოკრატიულ კავშირს“ წარმოადგენს. ეველინ მატეის მინისტრის თანამდებობა მოქმედი პრეზიდენტის სებასტიან პინიერას მთავრობაში ეკავა. მატეი პოლიტიკიდან წასვლაზეც ფიქრობდა, თუმცა ზაფხულში ხელისუფლების მთავარმა კანდიდატმა ნერვული სტრესის გამო წინასაარჩევნო ბრძოლაზე უარი თქვა და პარტიამ ეს როლი ეველინ მატეის დააკისრა.

ეველინ მატეი მოქმედი პრეზიდენტის პოლიტიკის გაგრძელების პირობას დებს. ის აღნიშნავს, რომ ბოლო ოთხ წელიწადში ჩილელების მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. მისი მთავარი ელექტორატი ჩილელების უფრო შეძლებული ფენების წარმომადგენლები არიან. მატეის გუნდის წევრები იმასაც ამბობენ, რომ მემარცხენე-ცენტრისტ მიშელ ბაჩელეტის დაპირებების უმრავლეობა ან ძნელად შესასრულებელია, ან საერთოდ განუხორციელებელი.

მოქმედმა პრეზიდენტმა სებასტიან პინიერამ მეორე ტურში გასულ ორივე მთავარ კანდიდატს წარმატება მიულოცა და პირობა დადო, რომ მეორე ტურიც ისეთივე გამჭვირვალე და სამართლიანი იქნება, როგორც პირველი. მან ასევე სინანული გამოთქვა საარჩევნო უბნებზე შედარებით ნაკლები ხალხის მისვლის გამო (ჩილელები ასპროცენტიან დასწრებას იყვნენ მიჩვეულნი).

მიშელ ბაჩელეტმა კმაყოფილება გამოთქვა პირველ ადგილზე დიდი უპირატესობით გასვლის გამო. მან აღიარა, რომ პირველივე ტურში მოგება ძალიან რთული იქნებოდა, თუმცა ის ამისკენ მიისწრაფვოდა და ცოტა დააკლდა.

თავის მხრივ ეველინ მატეიმ განაცხადა, რომ ის წარმოადგენს «პროექტს, რომელიც თავისუფალია იდეოლოგიისგან“. მან მეორე ტურში გამარჯვების იმედი გამოთქვა და საარჩევნო უბნებთან მისვლისკენ მოუწოდა იმ მოქალაქეებს, რომლებმაც პირველ ტურში პასიურობა გამოიჩინეს.

მიშელ ბაჩელეტიც და ეველინ მატეიც გენერლების ქალიშვილები არიან. ბავშვობაში ისინი მეგობრობდნენ, როდესაც ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობდნენ იმ ავიაბაზაზე, სადაც მათი მამები მსახურობდნენ. ოჯახების პოლიტიკური მომავალი 1973 წლის გადატრიალების დროს გაიყო. მიშელ ბაჩელეტის მამა - ჩილეს სამხედრო-საჰაერო ძალების ბრიგადის გენერალი ალბერტო ბაჩელეტი, რომელიც ჩამოგდებული პრეზიდენტის სალვადორ ალიენდეს ბანაკში მოიაზრებოდა, პუტჩის პირველივე დღეს დააპატიმრეს და ციხეში მოათავსეს, რომელიც სამხედრო-საჰაერო ძალების აკადემიაში იყო მოწყობილი. ის იქვე გარდაიცვალა გულის შეტევით 1974 წლის მარტში. სავარაუდოდ, ზეწოლას ვერ გაუძლო და შესაძლოა, წამებასაც. ეველინ მატეის მამა - შემდგომში ჩილეს სამხედრო საჰაერო ძალების მეთაური ფერნანდო მატეი ხუნტის წევრი იყო, თუმცა გადატრიალებაში მონაწილეობა არ მიუღია. მაშინ ის ბრიტანეთში მსახურობდა სამხედრო ატაშეს თანამდებობაზე, მაგრამ გადატრიალების შემდეგ სწორედ იმ სამხედრო-საჰაერო აკადემიის რექტორად დაინიშნა, რომელშიც ზემოაღნიშნული ციხე იყო მოწყობილი.

საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური 15 დეკემბერს გაიმართება.

ყაზანში ავიაკატასტროფას 50 კაცი შეეწირა

ვირველი გვერდიდან

ჯერჯერობით ცნობილია მხოლოდ ის, რომ უშუალოდ დაჯდომის წინ, როდესაც დასაფრენ ზოლამდე 500 მეტრი იყო დარჩენილი, თვითმფრინავის პილოტებმა დისპეტჩერებს აცნობეს, რომ დაჯდომისთვის მზად არ არიან. მიზეზი არ დაუზუსტებიათ - სავარაუდოდ, რაღაც ტექნიკური პრობლემის გამო. ეკიპაჟმა სიმაღლის აღება და ზოლზე ხელმეორედ შესვლა გადაწყვიტა. სწორედ ამ დროს თვითმფრინავის ფრთა თუ უკანა ნაწილი მიწას გამოედო, თვითმფრინავმა ორიენტაცია დაკარგა, ცეცხლი მოეკიდა და ასაფრენი ზოლიდან 150 მეტრზე აფეთქდა. კერძოდ, საწვავის ავზები აფეთქდა. თვითმფრინავის დეტალები 500 მეტრის რადიუსშია მიმოფანტული. სხვა ვერსიით, კატასტროფა მეორედ დაჯდომის მომენტში მოხდა.

ყველა დაღუპულის ცხედარი ნაპოვნია, მაგრამ საკმაოდ ძლიერი დამწვრობის გამო ისინი ძნელი ამოსაცნობია. დაღუპულ მგზავრებს შორის იყვნენ თათრეთის რესპუბლიკის მეთაურის შვილი ირეკ მინიხანოვი, «ეფ-ესბეს“ თათრეთის სამმართველოს უფროსი ალექსანდრ ანტონოვი, ასევე ორი ბავშვი და ერთი უცხოელი, დიდი ბრიტანეთის მოქალაქე დონა კაროლინა ბული.

კატასტროფის მიზეზებზე ლაპარაკი ჯერ ადრეა, გამოძიება ყველა ჰიპოტეზას განიხილავს, ტერაქტის ჩათვლით, თუმცა მაინც უფრო გამოკვეთილად ორ სავარაუდო მიზეზზე საუბრობენ - ეს შეიძლება ეკიპაჟის შეცდომა ან ტექნიკური პრობლემა იყო. კვირას ყაზანში წლის ამ დროისთვის ძალიან კარგი ამინდი იყო - ხილვადობა 5000 მეტრი და აბსოლუტურად მშრალი ასაფრენ-დასაფრენი ზოლი. ასეთ პირობებში თვითმფრინავებს დაჯდომის პრობლემები, როგორც წესი, არ ექმნებათ. ყაზანის აეროპორტი სრულად არის აღჭურვილი, მას ნებისმიერი ტიპის ავიალაინერის მიღება შეუძლია, მოქმედებს ავტომატური შეტყობინების სისტემაც.

ავიაკომპანია «ტატარსტანის“ პრესსამსახურის ხელმძღვანელმა გულნაზ მინიხანოვამ განაცხადა, რომ თვითმფრინავი სრულ წესრიგში იყო. ის 1990 წელს იყო გამოშვებული, მაგრამ ფრენის რესურსი ამოწურული არ ჰქონდა და ყველა ტექნიკური შემოწმება თუ რემონტი ჩატარებული ჰქონდა. კატასტროფის დღესაც ჯერ ერევანში ჩაფრინდა და ყაზანში დაბრუნდა, შემდეგ კი შეასრულა რეისი მოსკოვში და უკან ბრუნდებოდა. შემოწმება ფრენებს შორის პერიოდშიც გაიარა. თვითმფრინავს გამოცდილი პილოტები მართავდნენ, მეთაური - რუსტემ სალიხოვი და მეორე პილოტი - ვიქტორ გუცული. ორივე დაბადებულია 1966 წელს. პირველს ფრენის 21 წლის გამოცდილება ჰქონდა, მეორეს - 23 წლის. ავიაკომპანიის პრესმდივანმა აგრეთვე უარყო თავიდან მედიაში გავრცელებული ცნობა, რომ აღნიშულ ბოინგს შარშან ნოემბერში ყაზანში ავარიული დაჯდომა დასჭირდა. მინიხანოვას სიტყვებით, ეს მათ სხვა თვითმფრინავს შეემთხვა, რომელიც ძველ მფლობელს და მუდმივ პარტნიორს - ბულგარულ ავიაკომპანიას უკვე დაუბრუნეს.

რუსულ მედიაში გამოქვეყნდა იმ მგზავრების კომენტარები, რომლებმაც აღნიშნული ბოინგით ორი საათით ადრე ყაზანიდან მოსკოვამდე იფრინეს. ამ უკანასკნელების სიტყვებით, მათ მოსკოვში დაჯდომისას დიდი შიში იწვნიეს. ისეთი შეგრძნება ჰქონდათ, თითქოს თვითმფრინავი ძლიერი ტურბულენტობის ზონაში მოხვდა, მიდიოდა ხან გვერდებზე და ხან ზევით-ქვევით, თუმცა პირველივე ცდაზე ჩვეულებრივად დაჯდა. ეკიპაჟი აბსოლუტურად მშვიდად მოქმედებდა და მგზავრების მიმართაც ზრდილობიანად იქცეოდნენ. მგზავრები ამბობენ, რომ თვითმფრინავი გარედან ვიზუალურად კარგად გამოიყურებოდა, მაგრამ სალონში ტექნიკური პრობლემები იყო. არ ინთებოდა ყველა სინათლე, არ გადადიოდა უკან ზოგი სავარძელი, გატეხილი იყო მაგიდები და საერთოდ მოუვლელის შტაბეჭდილებას ტოვებდა.

ცხადია, დანიშნულია გამოძიება და აღძრულია სისხლის სამართლის საქმეც. რუსეთის პრეზიდენტმა და პრემიერ-მინისტრმა დაღუპულთა ოჯახის წევრებს სამძიმარი გამოუცხადეს. ავიაკატასტროვის მიზეზების შემსწავლელი კომისიის ხელმძღვანელად მედვედევმა უშუალოდ ტრანსპორტის მინისტრი მაქსიმ სოკოლოვი დანიშნა. ყაზანში უკვე ჩაფრინდნენ პროკურატურის საგანგებო გამომძიებელთა ჯგუფი თვით საგამოძიებო კომიტეტის თავმჯდომარე ალექსანდრ ბასტრიკინის ხელმძღვანელობით. ყაზანში იმყოფება საგანგებო სიტუაციების მინისტრი ვლადიმირ პუჩკოვი, მისი მოადგილე ვლადიმირ სტეპანოვი და სპეციალური ჯგუფი, მაშველების და ფსიქოლოგების შემადგენლობით, რომლებიც დაღუპულების ოჯახის წევრებთან მუშაობენ. ცხადია, კატასტროფის ადგილზე მინისტრი სოკოლოვიც ჩავიდა. აეროპორტში მივიდა აგრეთვე თათრეთის რესპუბლიკის მეთაური რუსტამ მინიხანოვი, რომლის შვილიც ასევე დაღუპულებს შორისაა.

აეროპორტი ორშაბათ შუადღემდე დაკეტილი იყო, ემსახურებოდა მხოლოდ სატრანზიტო რეისებს, თვითონ ყაზანის რეისები კი სხვა აეროდრომებზე დასვეს. გამოძიებამ ავიადისპეტჩერები უკვე დაკითხა, ნაპოვნია თვითმფრინავის საბორტო თვითჩამწერებიც, ე.წ. შავი ყუთები.

ავიაკომპანიას თვითმფრინავიც და მგზავრებიც დაზღვეული ჰყავდა კანონის შესაბამისად. დაზღვევის თანხა თითოეული დაღუპული ადამიანისთვის შეადგენს 2 მილიონ 25 ათას რუბლს. ამას გარდა, დაღუპულების ოჯახები თათრეთის რესპუბლიკის სარეზერვო ფონდიდან მილიონი რუბლის ოდენობით ერთჯერად დახმარებას მიიღებენ. შესაბამისად, დაღუპულთა ოჯახები ამ 3 მილიონზე მეტ რუბლს ყველა შემთხვევაში მიღებენ, კატასტროფის მეზობლების მიუხედავად.

რუსეთს ამერიკამ გამოძიებაში დახმარება შესთავაზა და ისინი უკვე გზავნიან აშშ-ს ტრანსპორტის უსაფრთხოების ეროვნული საბჭოს სამკაციან ჯგუფს ავიაკატასტროფების გამოძიების უფროსი სპეციალისტის დენის ჯონსის ხელმძღვანელობით. კატასტროფის გამოძიებაში ტექნიკური დახმარების მზადყოფნა გამოთქვა აგრეთვე ამერიკულმა კომპანია «ბოინგმა», რომლის სპეციალისტებიც მზად არიან, რუსეთის მთავარი საავიაციო საგამოძიებო ორგანოს - საერთაშორისო საავიაციო კომიტეტის მიწვევით ყაზანში ჩავიდნენ.

116 ფილმი

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ამ ამერიკელი რეჟისორის თემა აქ არ იხურება: რიგით მე-14 თბილისის კინოფესტივალს სწორედ მისი 2009 წლის ფილმი „უკანასკნელი სადგური“ გახსნის. ეს გახლავთ ლევ ტოლსტოისა და მისი მეუღლის, სოფია ანდრეევნას ურთიერთობის უკანასკნელი დღეების ამსახველი ფილმი, რის პარალელურადაც ტოლსტოის მემკვიდრეობის გარშემო მიმდინარე პერიპეტიებსაც ვადევნებთ თვალს. ფილმი ძალიან კარგია, უფრო კარგი მასში მონაწილე მსახიობების თამაშია - კრისტოფერ პლამერი და ჰელენ მირენი ამ როლებისთვის „ოსკარზე“ იყვნენ ნომინირებული.

შენიშვნა: ადრე ვიუწყებოდით, რომ ფესტივალს ლევან კოღუაშვილის „შემთხვევითი პაემნები“ გახსნიდა. სამწუხაროდ, ფილმის ჩვენება სხვა სექციაშიც ვერ მოხერხდება, რაც ფილმის უცხოელი პროდუსერების გადაწყვეტილებითაა განპირობებული.

მაიკლ ჰოფმანის გარდა საკონკურსო პროგრამის ფილმებს ჟიურის შემდეგი წევრები განსჯიან: თბილისის კინოფესტივალის ტრადიციული სტუმრების, მაჰმალბაფების დიდი კინოოჯახის კიდევ ერთი წარმომადგენელი, რეჟისორი სამირა მაჰმალბაფი, პოლონელი კინოკრიტიკოსი მათეუშ ვერნერი და მსახიობი გიორგი ნაკაშიძე.

ახლა კი საკონკურსო ფილმების ჩამონათვალს გაგაცნობთ (შეგახსენებთ, რომ თბილისის კინოფესტივალი მხოლოდ ევროპელი რეჟისორების სადებიუტო ან მეორე ფილმებს მასპინძლობს): ქართულ კინოს ამ სექციაში არჩილ ქავთარაძის „კომა“ წარმოადგენს, მისი კონკურენტები იქნებაინ ერდემ ტეპეგოზის „ნაწილაკი“ (თურქეთი), მარია სააკიანის „ეს მე არ ვარ“ (სომხეთი-რუსეთი-დანია-გერმანია), ანდრეა პალაოროს „მედეა“ (აშშ-იტალია), პენი პანაიოტოპულოს „სექტემბერი“ (საბერძნეთი-გერმანია), რუფატ ჰასანოვისა და ელვინ ადიგოზელის „ქამელეონი“ (აზერბაიჯანი-საფრანგეთი-რუსეთი), იგნას იონინასის „მოთამაშე“ (ლიტვა-ლატვია), იური ბიკოვის „მაიორი“ (რუსეთი), მარია სადოვსკას „ქალთა დღე“ (პოლონეთი) და მარინა ერ გორბახისა და მეჰმეტ ბაჰადირ ერის „შემიყვარე“ (თურქეთი-უკრაინა).

ქართულ ფილმს ევროპული კინოს ფორუმის სექციაშიც ვიხილავთ და ეს გახლავთ წლის საუკეთესოდ მიჩნეული, ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის „გრძელი ნათელი დღეები“. ამავე სექციაში იქნება წარმოდგენილი ხორვატულ-სერბული „მოძღვრის შვილები“ (რეჟისორი ვინკო ბრეშანი), წლევანდელი „ბერლინალეს“ ფავორიტი, რუმინელი კალინ პეტერ ნეცერის „ჩვილის პოზა“, ასევე აგნეშკა ჰოლანდის „შეუწველი მაყვალი“, პაველ პავლიკოვსკის „იდა“, ანდრეი სტემპოვსკის „პიცის დამტარებელი“, სალვატორე მურეუს „ლამაზი პეპლები“, პაოლო სორენტინოს „დიდებული სილამაზე“, ფრანსუა ოზონის „ახალგაზრდა და ლამაზი“, მარჯან სატრაპის „ქათამი ქლიავით“, ნიკოლაი არკელის 2012 წლის „ბერლინალეს“ ნომინანტი (ფილმს ორი ვერცხლის დათვი აქვს მიღებული) „სამეფო რომანი“ და კიდევ რამდენიმე საინტერესო ნამუშევარი.

„ჩვილის პოზა“

„სამეფო რომანი“

თბილისის კინოფესტივალის კიდევ ერთი ტრადიციული სექცია გახლავთ „ჰორიზონტები“, რომელიც მსოფლიო სავტორო ფილმებს წარმოადგენს. მაყურებელი ნახავს ებრაულ, ირანულ, იაპონურ, ყაზახურ, მექსიკურ და ჩინურ პროდუქციას, მათ შორის, ჯაფარ პანაჰის „დახურულ ფარდას“, მირ ბაიგაზინის „ჰარმონიის გაკვეთილებს“, ძია ჩჟანკეს „ცოდვის შეხებას“ (2013 წლის კანის კინოფესტივალის პრიზი საუკეთესო სცენარისთვის), ჰიროკაძუ კორე-ედას „მე ვიქნები მის მამას“ (კანის ჟიურის სპეციალური პრიზი) და ამატ ესკალანტეს „ელის“ (კანის პრიზი საუკეთესო რეჟისურისთვის).

მარგარეტე ფონ ტროტას „ჰანა არენდტს“ ფესტივალის მუდმივი პარტნიორი გოეტეს ინსტიტუტი წარმოგვიდგენს. სექციაში „დამზადებულია გერმანიაში“ სულ ექვს ფილმს ვნახავთ, მათ შორის ერთი საბავშვოა - ვოლფგანგ გროსის „ვამპირი დები“. ამავე სექციის ფილმებია გეორგ მაასის „ორი ცხოვრება“, იან ოლე გერსტერის „ოჰ, ბოი“, დავიდ ზივეკინგის „არ დამივიწყო“ და დორის დოერის „ბედნიერება“.

ყოველ წელიწადს თბილისის კინოფესტივალი ერთი კონკრეტული ქვეყნის კინემატოგრაფზე აკეთებს ფოკუსირებას. ამჯერად „სამიზნეში“ ფინეთი მოხვდა, ფესტივალის პროგრამაში კი შემდეგი ფილმები: აკუ ლოუჰიმიესის „შიშველი პორტი“, პეტრი კოტვიკას „ვირთხების მეფე“, ცაიდა ბერგროთის „კარგი ვაჟიშვილი“, მაარიტ ლალის „თითქმის 18“ და მატი კინუნენის „მის ლურჯი ჯინსი“.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამა აღმოსავლეთ პარტნიორობის (Eastern Partnership) მონაწილე ქვეყნების ნამუშევრები იქნება წარმოდგენილი სექციაში „ფილმები საზღვრებს გარეშე“. ამ სექციაში უკრაინული, რუსული, აზერბაიჯანული და რუმინული კოპროდუქციების გარდა ზაზა ურუშაძის „მანდარინებსაც“ აჩვენებენ. ამრიგად, თუ ფილმის ნახვა გაქირავებისას ვერ მოახერხეთ, გირჩევთ, ამჯერად მაინც ნახოთ.

სექციაში „სიყვარული ადამიანის ძირითადი უფლებაა“ მაყურებელი ეროვნული, პოლიტიკური თუ სოციალური თემატიკით ინსპირირებულ ევროპულ ფილმებს ნახავს, ქართულ პანორამაში კი, შესაბამისად, ქართულ ფილმებს - როგორც მხატვრულ, ისე მოკლემეტრაჟიანსა და დოკუმენტურებს. მთავარი კონკურსის გარდა ფესტივალი ამ სექციის გამარჯვებულსაც დაასახელებს. კერძოდ, ფესტივალის დიდი ხნის მეგობრები, ბერლინის კინოფესტივალის ფორუმის სექციის დამაარსებელი კინომცოდნეები ულრიხ და ერიკა გრეგორები ქართული პანორამის საუკეთესო რეჟისორს თიბისი ბანკისა და საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის ჯილდოს გადასცემენ, რომელიც კანის 2014 წლის კინოფესტივალზე გამგზავრებას ითვალისწინებს.

რამდენიმე წლის წინ ფესტივალის ფარგლებში წარმოდგენილი კოტე მიქაბერიძის „ჩემი ბებიის“ სპეციალური ჩვენება ცოცხალი მუსიკის ფონზე გაიმართა. მსგავსი სანახაობა გველის წელსაც: ბერლინის დამოუკიდებელ კინოთეატრ „არსენალის“ 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით ცნობილი გერმანელი პიანისტი და კომპოზიტორი ოინიკე მარტინესი ორი უხმო ფილმის ჩვენებისას დაუკრავს. ელდარ შენგელაიას 80 წლის იუბილეთან დაკავშირებით კი 1963 წელს თამაზ მელიავასთან დუეტში გადაღებულ „თეთრ ქარავანს“ წარმოადგენენ.

თბილისის კინოფესტივალის პროგრამა გაცილებით ვრცელია (სულ 116 ფილმი): მაყურებელს ელის დოკუმენტური და ანიმაციური, ასევე სტუდენტური ნამუშევრებიც, ფესტივალის დახურვის ფილმის შესახებ კი მომავალში გაუწყებთ.

P. S. ყველა საფესტივალო ფილმის ჩვენება კინოთეატრ „ამირანში“ გაიმართება. ბილეთის ფასია 2 ლარი.

„ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲥᲣᲠᲣᲛᲘ“ ᲗᲔᲛᲣᲠ ᲩᲮᲔᲘᲫᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

გუშინ, 18 ნოემბერს, კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე გათამაშდა თემურ ჩხეიძის დადგმა „ART ხელოვნება“, რომელიც რეჟისორის იუბილეს მიეძღვნა. 70 წლის ცნობილი ქართველი რეჟისორი სპექტაკლის დასასრულს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილემ მანანა ბერიკაშვილმა ხელოვნებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის „ხელოვნების ქურუმის“ პრემია გადასცა.

„მე ვდგამ ფსიქოლოგიურ სპექტაკლებს. ვცდილობ მინიმუმის მეშვეობით მაქსიმალურის მიღწევას. ვცდილობ ადამიანის ბუნების ანატომიის გამოხატვას. მხატვარი რომ გამოვსულიყავი, ალბათ პორტრეტისტი ვიქნებოდი. მაინტერესებს ყველა პროცესი, რომელიც ადამიანის სულში მიმდინარეობს. თეატრში ყველაფერი ფსიქოლოგიურად გამართლებული უნდა იყოს, ყველაფერი უნდა დალაგდეს ცხოვრების მიხედვით. შესაძლოა, სრულიად მოულოდნელი რაღაცეებიც მოხდეს - ისე, როგორც ცხოვრებაში“ - აღნიშნავს თემურ ჩხეიძე, რომელიც უკვე ნახევარი საუკუნე თეატრისთვის მოღვაწეობს და ავტორია ასამდე საოპერო, დრამატული და სატელევიზიო დადმისა.

მის ბიოგრაფიაში იყო ზუგდიდის თეატრში მოღვაწეობის ეტაპი, იყო ქართული მოზარდმაყურებელთა თეატრი, რუსთაველის თეატრი, სატელევიზიო თეატრი, მარჯანიშვილის თეატრი და...მერე უკვე მსოფლიო აღიარება, დიდი დრამატული თეატრი პეტერბურგში, დიდი და სამხატვრო თეატრები მოსკოვში, ლა სკალას თეატრი, მეტროპოლიტენ ოპერა, პარიზისა და ბორდოს საოპერო თეატრები...

იზრდებოდა მისი შემოქმედებითი ბიოგრაფია, პროპორციულად იზრდებოდა მისი აღიარების ხარისხი. დღეს ქართული თეატრის ოქროს ფონდშია მის მიერ დადგმული სპექტაკლები. „გუშინდელნი“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ჯაყოს ხიზნები“, „ხაკი აძბა“, „თეთრი კურდღელი“... და მრავალი სხვა.

იშვიათია სხვა რეჟისორის ბიოგრაფიაში აღმოაჩინო ამდენი წარმატებული ქართული ნაწარმოებების მიხედვით შექმნილი სპექტაკლები, თუმცა არა ნაკლებ წარმატებულია მის მიერ დადგმული მსოფლიო კლასიკა „მოჩვენებანი“, „ოტელო“, „ბერნარდა ალბას სახლი“, „ანტიგონე“, „მარადი ქმარი“, „მამა“, „დონ კარლოსი“, „მარიამ სტიუარტი“, „ART - ხელოვნება“, „გრონჰოლმის მეთოდი“ და მრავალი სხვა.

24 საათი

„მორგებული აუქციონი„ თუ უბრალო „დამთხვევა?!„ - ერთი აუქციონის ისტორია...3

აუქციონი სასარგებლო წიაღისეულის ლიცენზიის მოპოვებაზე, რომელიც გარემოს ეროვნულმა სააგენტომ გამოაცხადა, **2013 წლის 11 ნოემბერს** 12:00 საათზე დაიწყო ამავე დღეს **18:00** საათზე დასრულდა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა **მიტარბის** ტერიტორიაზე ლიცენზიის მოპოვება სააუქციონე პირობების თანახმად, მხოლოდ ერთი დაინტერესებული კომპანიის ინტერესებში უნდა შესულიყო, სხვა დანარჩენისთვის აღნიშნული აუქციონი მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა. ამის წინაპირობას კი სააუქციონე პირობების მიხედვით დაწესებული ვალდებულებები ქმნიდა.

აუქციონის საწყისი ფასი **903 892** ლარი იყო, დღეის მონაცემებით კი მიმდინარე ფასი 2 802 065.20 ლარია. დაფიქსირებულია 21 ბიჯი და ორი მონაწილე კომპანია. გამარჯვებულია ის კომპანია, რომელმაც პირველად დააფიქსირა ბიჯი და ბოლო ბიჯის დაფიქსირება, სააუქციონე დროის გაზრდამდე ზუსტად 4 წამით ადრე მოასწრო.

როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, აუქციონების ჩატარებას მსგავსი პირობებით, უმჯობესია, პირდაპირი მიყიდვის წესით მისცეს სახელმწიფომ კონკრეტულ კომპანიას ესა თუ ის ობიექტი და შესაბამისად, უფრო მაღალი ფასიც დაადონ, რადგან აღნიშნული აუქციონის პირობების თანახმად, არცერთი კომპანია არ დაინტერესდება იმით, რომ მისი ყველა ქმედება შეათანხმოს სხვა კომპანიასთან. კონკრეტულ შემთხვევაში კი **„ბორჯომინწყლებთან“.**

„მე ვფიქრობ, სატენდერო პირობებში არის გარკვეული უზსტობები რაც აუცილებელია გასწორდეს, რადგან ტენდერში მონაწილე კომპანიებისთვის უნდა იყოს თანაბარი პირობები. ძალიან უცნაურია შემთხვევა და დაშვება, როდესაც ერთი კომპანია იმარჯვებს და მეორეს აქვს პირობების კარნახის უფლება, თანაც კონკურენტს - ამ დროს დიდი შანსია, გამარჯვებულ კომპანიას ხელი შეეშალოს საქმიანობაში. ეს არის არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტები. ან მეორე შემთხვევაა, როცა სატენდერო პირობები ისეა შედგენილი, რომ მორგებულია იმ კომპანიის ინტერესებს, რომელმაც უნდა გაიმარჯვოს“ - აცხადებს ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში **ირაკლი ლექვინაძე.**

რატომ უნდა დაინტერესდეს სხვა კომპანია „მიტარბის“ საბადოს მინერალური წყლის მოპოვების ლიცენზიით, თუკი ჭაბურილი და ტექნიკური მოწყობილობები არის სააქციო საზოგადოება «ბორჯომმინწყლების“-ს საკუთრება?

სააუქციონე პირობების თანახმად, კიდევ უფრო მეტად საინტერესო დეტალები იკვეთება. მაგალითად: „ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში - მისი ჰერმეტიზაციაც; სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების მიზნით, გაცემული ლიცენზიის ფარგლებში, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწაზე სალიცენზიო საქმიანობა განახორციელოს მხოლოდ მესაკუთრესთან შეთანხმებით.

მესაკუთრე კი „ბორჯომმინწყლებია“, აუქციონზე გამარჯვებულმა ნებისმიერმა კომპანიამ სწორედ მასთან უნდა შეათანხმოს თავისი სალიცენზიო საქმიანობა.

მესაკუთრის მიერ აუქციონის ჩატარების თაობაზე თანხმობა გაცემულია, მაგრამ რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუკი სხვა კომპანია და „ბორჯომმინწყლები“ ერთმანეთში ვერ მოილაპარაკებენ?

როგორც გარემოს დაცვის სამინისტროში აცხადებენ: „შედეგების მიუღწევლობის შემთხვევაში (ანუ კერძო სამართლის სუბიექტებს შორის დავის არსებობისას), საკითხები წყდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით და ამის მოგვარება გარემოს დაცვის სამინისტროს კომპეტენციაში არ შედის.“

შეუძლია თუ არა სხვა კომპანიას გააკეთოს დამატებითი ჭაბურღილი?

გარემოს დაცვის სამინისტროს ამაზე ასეთი პასუხი აქვს: „ახალი ჭაბურღილის გაკეთების შესაძლებლობის ან აკრძალვის თაობაზე შესაბამის ნორმატიულ აქტებში ჩანაწერი არ არის. მიმდინარე აუქციონი გამოცხადებულია არსებული ჭაბურღილების საშუალებით მინერალური წყლის მოპოვების თაობაზე. ლიცენზია გაიცემა არსებულ ჭაბურღილებზე, სადაც უკვე დამტკიცებულია მინერალური წყლის მარაგები.“

საერთო ჯამში, ყველა გზა „ბორჯომმინწყლებამდე“ მიდის...

კომპანია „აიდიესბორჯომმინწყლების» საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი, ნანიკო ჩინჩალაძე იმასთან დაკავშირებით მიიღო თუ არა აღნიშნულ აუქციონში მონაწილეობა «ბორჯომმინწყლებმა» ან რომელიმე მათმა შვილობილმა კომპანიამ და გაიმარჯვეს თუ არა, კომენტარს ჯერჯერობით არ აკეთებს. მისი თქმით, გენერალური დირექტორი საქართველოში არ იმყოფება და მის ჩამოსვლამდე ისინი კომენტარს არ გააკეთებენ.

დაზუსტებული ინფორმაციით, ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა კომპანიამ შპს „წაღვერმა“ და უცხოური კომპანიის შპს „აიდიეს ბორჯომი ბევერიჯიზ კომპანის“ ქართულმა ფილიალმა, „აი დიეს ბორჯომი საქართველომ“.

გამარჯვებული სწორედ ეს უკანასკნელი კომპანია იყო.

RMG Copper-მა Volvo Trucks -ის 30 სატვირთო მანქანა შეიძინა

კომპანია RMG Copper-მა (ყოფილი „სს მადნეული“) FMX KH Kipper-ის თვითმცლელის ძარით Volvo Trucks-ის 30 სატვირთო მანქანა შეიძინა. სატვირთო მანქანების გადაცემის ოფიციალური ცერემონიალი კაზრეთში, RMG Copper-ის ტერიტორიაზე გაიმართა. საქართველოში კომპანია Volvo-ს ოფიციალურ შემოსვლასთან დაკავშირებით, RMG Copper-ს კომპანია Volvo Trucks -ის პირველი პირები ესტუმრნენ. ღონისძიებაზე Volvo Trucks-ის ვიცე პრეზიდენტმა ტორბიორნ უილსონმა, RMG Copper-ის აღმასრულებელ დირექტორს - დიმიტრი კალანდაძეს სატვირთო ავტომობილების გასაღები პირადად გადასცა.

როგორც კომპანიის მენეჯმენტში აცხადებენ, ტექნიკის განახლებისთვის სოლიდური ინვესტიცია - 4 მილიონი ევრო ჩაიდო. ტექნიკის განახლების შედეგად, RMG Copper-ის გადაზიდვების ხარჯი 25% შემცირდება. წარმატების შემთხვევაში, RMG Cooper-ი ინვესტიციის გაორმაგებას გეგმავს, რათა კომპანიაში ყველა სატრანსპორტო საშუალების განახლება მოხდეს.

«Volvo Trucks-სთან ერთად განხორციელებული ტექნიკის განახლების პროექტი, მნიშვნელოვანი ნაბიჯია არა მხოლოდ კომპანიის განვითარებისთვის, არამედ ქვეყნის ეკონომიკისთვისაც. მიმდინარე წლის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკისთვის ეს უმსხვილესი ინვესტიციაა. ამ დღისთვის ჩვენ რამდენიმე თვის განმავლობაში ვემზადებოდით. სპეციფიკაციების განსასაზღვრად საქართველოში შვეიცარიელი ექსპერტი ჩამოვიდა, რომელმაც ადგილზე შეისწავლა ვითარება და რეკომენდაცია მოგვცა ამ პროექტის განხორციელებისთვის. როგორც ცნობილია, Volvo Trucks-ი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ხარისხს, ამიტომ მოხარულები ვართ, რომ შევისყიდეთ უმაღლესი ხარისხის ტექნიკა, რომელიც მკაცრ პირობებში მუშაობისთვის არის განკუთვნილი. კარიერში მუშაობისთვის, სადაც ურთულესი პირობებია ეს საუკეთესო გადაწყვეტილებაა» - განაცხადა დიმიტრი კალანდაძემ.

ღონისძიებას რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე შოთა მურღულია დაესწრო. როგორც მან აღნიშნა, RMG Copper-ის და Volvo Trucks-ის ის მიერ განხორციელებული პროექტი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. «ძალიან კარგია, როდესაც ბაზარზე რამდენიმე დიდი კომპანიაა და დამკვეთს არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა აქვს. მოხარული ვართ, რომ საქართველოში კონკრეტული სამუშაოებისთვის ადაპტირებული ტექნიკა შემოვიდა. სახელმწიფო ყოველთვის გვერდში დაუდგება ამგვარ პროექტებს, ორივე კომპანიას ვუღოცავ ამ პროექტის განხორციელებას.“ -განაცხადა მინისტრის მოადგილემ.

Volvo Trucks-ში აცხადებენ, რომ კომპანია საქართველოში განვითარებას გეგმავს. «დღეს Volvo Trucks-ი საქართველოს ბაზარზე ოფიციალურად შემოვიდა. ჩვენ გვჯერა, რომ საქართველოში ბიზნესის განვითარების დიდი პოტენციალია. ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ინვესტორებისათვის. განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკისთვის საჭიროა ტრანსპორტი, როგორც ერთერთი განუყოფელი ნაწილი ნებისმიერ ინდუსტრიაში. ტრანსპორტი საჭიროა საქონლის წარმოების და წარმოებული ნედლეულის ტრანსპორტირებისთვის. Volvo Trucks-ის სატვირთო მანქანები საუკეთესო გადაწყვეტილებაა ნებისიერი ბიზნესისთვის. ჩვენ მოხარული ვართ თანამშრომლობისთვის და დარწმუნებული ვართ, რომ ეს პროექტი იქნება ძალიან წარმატებული»- განაცხადა ტორბიორნ უილსონმა.

ღონისძიებაზე დასასწრებად, საქართველოში FMX KH Kipper-ის დირექტორი ანდრეი კამიონკა ჩამოვიდა. «მოხარული ვარ რომ აქ ვიმყოფები. ვიმედოვნებ, რომ ჩვენი თანამშრომლობა ნაყოფიერი იქნება და სამომავლოდ უფრო გაღრმავდება.“-განაცხადა ანდრეი კამიონკამ.

სატვირთო მანქანა Volvo FMX-ი აღიარებულია, როგორც ყველაზე საიმედო ტექნიკა კარიერში სამუშაოდ. აღნიშნული მანქანები კარიერებში და სხვადასხვა სამშენებლო სამუშაოებისთვის არის განკუთვნილი. თვითმცვლელის სპეციფიკაცია გამოირჩევა საბურავების ბაზით 8x4-ზე (4 ღერძი, 8 საბურავი, 4 წამყვანი თვლებით). აღნიშნული მონაცემები უზრუნველყოფს თვითმცვლელის ძარის მეტ მოცულობას და ტვირთამწეობას, ზრდის სატვირთო მანქანის ეფექტურობას (მაგალითად გადააქვს უფრო მეტი ტვირთი, ვიდრე 3-ღერძიანს). სატვირთო მანქანები აღჭურვილია Volvo Trucks-ის დაპატენტებული გამოგონებით Volvo Engine Brake, რომელიც უზრუნველყოფს სამუხრუჭე სისტემის ექსპლუატაციის ვადის გახანგრძლივებას, უზრუნველყოფს ეფექტურ დამუხრუჭებას და საწვავის ეკონომიას.

«ჩვენ გვჯერა, რომ Volvo Trucks-ის მაღალტექნოლოგიური სატვირთო მანქანები ქართულ ბაზარზე ახალი სიტყვა იქნება. ჩვენ გვჯერა, რომ RMG Copper-ი სამაგალითო იქნება მეზობელი ქვეყნებისთვისაც,» - განაცხადა ტორბიორნ უილსონმა.

ჯორდანის და კობის გუნდი

ზურა თალაკვაძე



ჯორდან ჰილი (27)

კობი ბრაიანტი დაბრუნდება და «ლეიკერსი» დაისვენებს. მაიკ დ`ანტონი ამ შემადგენლობით ნორმალურად თამაშობს და მწვრთნელი დროდადრო მაინც ვერ ქაჩავს. დ`ანტონის ტაქტიკური სიღრმე გუნდის ამ რუსტერს უფრო ეფექტურად უნდა იყენებდეს. კალიფორნიაში წამოვიდა «კლიპერსი», სადაც დოკ რივერსს რეანიმატორების საინტერესო ჯგუფი ჰყავს. კალიფორნიაში გაიზარდა «გოლდენ სტეიტი» მკვლელი პირველი ხუთეულით და შემდეგ სიცარიელეა. ამ სიცარიელეს მიხედავენ. კალიფორნიაში წამოვიდა თავმოყვარე «საკრამენტო» დემარკუს კაზენსის ეგოთი. და ის ეგო საშუალოდ ორმაგ დუბლს იღებს. კალიფორნიაში მელ გიბსონმა ვიღაც ქალი გალახა და იმ ქალმა მელს ბევრი მილიონი წაართვა. და კალიფორნიაში «ლეიკერსია». ჯერ კობის გარეშე და მალე ის ტიტანიც დაბრუნდება. კარგი ბიჭი მოგვენატრა და კობის სხვა კარგი ბიჭების გაჩერება, ნერვებზე მოშლა მოენატრა. ეს კობია. კლასიკა.

«ლეიკერსმა» «დეტროიტს» ჩვეულებრივი თამაში 114:99 მოუგო და დ`ანტონის ტერარიუმში საუეთესო იყო ჯორდან ჰილი. მოძრავი, მოქნილი, აგრესიული ბიჭი, რომელიც დ`ანტონის «ნიუ იორკიდან» იცნობს. რომელსაც დ`ანტონი მედისონში არ ათამაშებდა და აქ, კალიფორნიაში უფრო უნდა ათამაშოს. ან დ`ანტონის ბევრს გაახსენებენ. და მაიკი დაიბნევა. და მაიკმა უკვე იცის, რომ ჰილი სანდოა. ლიგის ერთ-ერთ მძიმე, მაღალ ხაზთან (ჯოშ სმიტი, ანდრე დრამონდი, გრეგ მონრო) ჰილმა არ დაინდო «დეტროიტი» და საქმეს თავიდანვე მიხედა. 24 ქულა. ჯორდანის კარიერის რეკორდი. 17 მოხსნა. ჯორდანის კარიერის კიდევ ერთი რეკორდი. და ჯორდანზე ერთმა საყვარელმა ბიძამ, მისტერ ჯეიმს უორთიმ წაიჭორავა - ვუყურებ და დენის როდმანი მახსენდებაო. საპატიო შედარებაა. არა მხოლოდ ჯორდანისთვის. ნებისმიერი ჰილისთვის. დენისი ძალიან გიჟი, ძალიან ნიჭიერი, ძალიან ფეთქებადი და ძალიან მაგარი იყო. ჰილმა დასამახსოვრებელი კომპლიმენტი დაიმსახურა და დ`ანტონიმ ეს მოინიშნა. ყოველ შემთხვევაში, ალბათ მოინიშნა. მაიკი სწრაფად აზროვნებს და მაიკის გუნდები სწრაფ კალათბურთს თამაშობენ. ჯორდან ჰილი ამ «ლეიკერსის» ნებისმიერ ფორმაციაში ჩაჯდება. ჯორდან ჰილი ამ «ლეიკერსის» ჰორას გრანტია. გავარტყით?

«ლეიკერსის» შეცდომები ჩანს. კობი ბრაიანტი არ ჩანს და კობისთან ერთად ნაკლები შეცდომა წამოვა. «ლეიკერსი» კობის პერსონალური პროექტია და პო გასოლი ბრაიანტს თითქმის ყოველდღე ემესიჯება. ესპანელი კობის ყველაფერს უყვება და კობიმ იცის, რომ სტივ ბლეიკი ძალიან კარგ ფორმაშია. «დეტროიტთან» სტივიმ 16 პასი გააკეთა. ბრაიანტთან ერთად ხუთეულში სტივი 16 პასს იშვიათად გააკეთებს და ბლეიკი ბურთს უფრო სხვა სიტუაციებში მიიღებს. კობის ბურთი მოენატრა და კობი ბურთს ხშირად შეეხება. ბლეიკი მეორე ნომერზეც ავა. ჯორდან ჰილიც ვერ გადაფარავს ერთ-ერთ პრივატულ რეკორდს (24 ქულა), მაგრამ ჰილმა თავისუფლად შეიძლება აკრიფოს 17 მოხსნაზე მეტი. ბრაიანტზე ბურთი თითქმის ყველა სიტუაციიდან ავა და კობი უნდა შევიდეს ფორმაში. ჰილი მოსახსნელს მოხსნის და იქვე, სამწამიანთან სეირნობს პო გასოლი. რომელიც «დეტროიტთან» არ იღლებოდა, ძირითადად, პოზიციურად იგებდა და ესპანელმა მოასწრო 12 ქულის, 9 მოხსნის, 7 პასის, 3 დაფარების და 2 ჩაჭრის აღება. კარგი კოლექცია და კარგი კოლექციონერია. ესპანელი ელოდება კობის დაბრუნებას და კობისთან ერთად ესპანელიც გაიშლება. შარშან ამ პროცესს ხელს უშლიდა დუაიტ ჰოვარდის განიერი ზურგი, დაჩირქებული თავმოყვარეობა და პოზიციის ცუდად შერჩევა. ჰოვარდი ჰიუსტონშია, პო - კალიფორნიაში. კალიფორნიას მისტერ ბრაიანტი მოენატრა. ჩვენც მოგვენატრა. კობისაც.

«დეტროიტი» თამაშში იყო. მესამე მეოთხედის ბოლოს ნიკ იანგმა ჯერ შესვლიდან, შემდეგ (ორჯერ) ძალიან შორიდან ჩააგდო და გასოლის ბენდი წინ გადის. უკვე 4 ქულით. ესპანელმა ჰილთან ერთად თითქმის ყველაფერი მოხსნა. დიდი შესვენების შემდეგ ეს საინტერესო და ოდნავ ატონალური წყვილი სოლიდურად მუშაობდა. იანგმა 19 ქულა აითვისა და ბოლო ოთხ თამაშში საშუალოდ 16.3 ქულას აგროვებს. იანგი ოთხჯერვე სათადარიგო იყო. იანგი რეალურად ძლიერი სათადარიგოა და კობის ნორმალურად დაასვენებს. მისტერ იანგიც ინდივიდუალისტია, მაგრამ კობისთან ერთად აზრზე მოვა. გამოსწორდება. სტიქიურად აღარ იაზროვნებს. იანგი და დ`ანტონი მეგობრობენ. კობი ამას ხედავს. კობი ყველაფერს ხედავს.

ყველაზე მშვიდად გასოლია. ესპანელი კობის ყველა სიტუაციაში გაუგებს. ესპანელი კობის მეგობარი და ბრაიანტის შემდეგ, «ლეიკერსის» ყველაზე დამჯერი და ჩამგდები მილიონერია. ეს უკვე დ`ანტონიმ იცის.

მალე კობი ბრაიანტი დაბრუნდება და «ლეიკერსი» დაისვენებს. მაიკ დ`ანტონი ამ შემადგენლობით ნორმალურად თამაშობს და მწვრთნელი დროდადრო მაინც ვერ ქაჩავს. დ`ანტონის ტაქტიკური სიღრმე გუნდის ამ რუსტერს უფრო ეფექტურად უნდა იყენებდეს. კალიფორნიაში წამოვიდა «კლიპერსი», სადაც დოკ რივერსს რეანიმატორების საინტერესო ჯგუფი ჰყავს. კალიფორნიაში გაიზარდა «გოლდენ სტეიტი» მკვლელი პირველი ხუთეულით და შემდეგ სიცარიელეა. ამ სიცარიელეს მიხედავენ. კალიფორნიაში წამოვიდა თავმოყვარე «საკრამენტო» დემარკუს კაზენსის ეგოთი. და ის ეგო საშუალოდ ორმაგ დუბლს იღებს. კალიფორნიაში მელ გიბსონმა ვიღაც ქალი გალახა და იმ ქალმა მელს ბევრი მილიონი წაართვა. და კალიფორნიაში «ლეიკერსია». ჯერ კობის გარეშე და მალე ის ტიტანიც დაბრუნდება. კარგი ბიჭი მოგვენატრა და კობის სხვა კარგი ბიჭების გაჩერება, ნერვებზე მოშლა მოენატრა. ეს კობია. კლასიკა.

«ლეიკერსი» უკეთესი იქნება.

ჭაბუკმა მოკრივეებმა ევროპის ჩემპიონატი გუნდური მესამე ადგილით დაამთავრეს

ანაპაში დასრულებული ჭაბუკ მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატი საქართველოს ნაკრებისთვის წარმატებული გამოდგა. კუკური შავგულიძის შეგრიდებმა ერთი ოქროს, ერთი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს და ამ ნადავლით გუნდურ პირველობაში მესამე ადგილი დაიკავეს. მათ რუსეთისა და ირლანდიის ნაკრებებმა გაასწრეს.

ანაპაში გამგზავრების წინ საქართველოს კრივის ფედერაციის გენერალური მდივანი, AIBA-ს დელეგატი ვლადიმერ ახალკაცი, რომელიც ჩემპიონატზე ჟიურის თავმჯდომარედ იყო მიწვეული, ნაკრების კარგ მომზადებაზე საუბრობდა და ქართველ მოკრივეებს გუნდურ მესამე-მეოთხე ადგილს უწინასწარმეტყველებდა. მაგრამ ერთია მომზადება და მეორე - მსაჯობა. ჩემპიონატამდე ესეც ითქვა, ის, რომ ჩემპიონატზე ჟიურის წევრადაა მიწვეული, კარგ საბაბად უნდა მივიჩნიოთ, რათა არ დავიჩაგროთო.

და აი, შედეგიც: სხვადასხვა სინჯის ოთხი მედალი. მათ შორის უმაღლესი სინჯისა გიორგი ხარაბაძემ (66 კგ.) მოიპოვა - ფინალში უკრაინელ სტერნან გრეკულს მოუგო.

ჩემპიონობამდე ერთი ნაბიჯი დააკლდა რატი ტლაშაძეს (74 კგ.) - გადამწყვეტ შეხვედრაში ფრანგ ლუი ტოტთან დამარცხდა.

კვარცხლბეკზე ასვლის პატივი დაიმსახურეს გიორგი ჩარგაზიამ (46 კგ.) და უჩა მაისურაძემ (52 კგ.).

ევროპის ჩემპიონატზე მედლების 13 კომპლექტი გათამაშდა. 27 ქვეყნის წარმომადგენელთა შორის მედლების ყველაზე მეტ კომპლექტს მასპინძელი - რუსეთის ნაკრები დაეპატრონა - 6 ოქრო, 3 ვერცხლი, 4 ბრინჯაო.

ერთი ოქროთი და ორი ვერცხლით მეორე გუნდური ადგილი ირლანდიას დარჩა, ხოლო საქართველოს ნაკრებს 1 ოქროს, 1 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედლით მესამე ადგილი ერგო. ჩვენი გუნდი ანაპას რინგს ცხრაკაციანი შემადგენლობით ეწვია.

გიგა გურასაშვილი

ს.ს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" აცხადებს
ა უ ქ ც ი ო ნ ს

ს.ს. საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" ბალანსზე რიცხული, ქ/ს წყალტუბო-220"-სა და ქ/ს ზესტაფონი-500"-ს ტერიტორიებზე არსებული, 323 ერთეული დემონტირებული შემოღობვის სექციის 2 ლოტად გაყიდვის მიზნით

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:
საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს;
ინფორმაცია გასაყიდი ქონების შესახებ:
323 ერთეული დემონტირებული შემოღობვის სექცია აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იქნება **2** ლოტად, კერძოდ:
პირველი ლოტი: ქ/ს წყალტუბო-220" - სექციების რაოდენობა **277** ერთეული;
მეორე ლოტი: ზესტაფონი-500" - სექციების რაოდენობა **46** ერთეული;

მესაკუთრე: ს.ს. საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა";

პირველი ლოტის შემთხვევაში: ქ/ს წყალტუბო-220" (მის: წყალტუბო, სოფ. მაღლაკი), სექციების რაოდენობა **277** ერთეული, თითო სექციის ზომაა: 3.00X1.50მ.
საწყისი სააუქციონო ფასი: **4 710** (ოთხი ათას შვიდასათი) ლარი (დღგ-ს ჩათვლით);
აუქციონში მონაწილეობის ბე": 510 (ხუთასათი) ლარი;
აუქციონის ბიჯი": 550 (ხუთასორმოცდაათი) ლარი;
მონაწილის ბილეთის ფასი: 50 (ორმოცდაათი) ლარი;

მეორე ლოტის შემთხვევაში: ქ/ს ზესტაფონი-500" (მის: ქ. თერჯოლა, კოხრა), სექციების რაოდენობა **46** ერთეული, თითო სექციის ზომაა:3.58X1.52მ.
საწყისი სააუქციონო ფასი: **690** (ექვსასოთხმოცდაათი) ლარი (დღგ-ს ჩათვლით);
აუქციონში მონაწილეობის ბე": 70 (სამოცდაათი) ლარი;
აუქციონის ბიჯი": 70 (სამოცდაათი) ლარი;
მონაწილის ბილეთის ფასი: 50 (ორმოცდაათი) ლარი;

თანხის გადახდის ვადები: მყიდველი ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე დასახელებული ქონების საბოლოო გასაყიდი ფასი.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად სააუქციონო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:
ა) შევსებული განაცხადი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას აუქციონში მონაწილეზე, განსაკარგი ქონების დასახელებას და საწყის საფასურს;
ბ) ბეს" გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის გადახდა უნდა მოხდეს ს.ს. საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" საანგარიშსწორებო ანგარიშზე (ს.ს. საქართველოს ბანკი", ცენტრალური ფილიალი, კოდი: BAGAGE22, ა/ა GE56BG0000000283534100, საიდენტიფიკაციო კოდი 204995176) ან საბანკო გარანტია;
გ) მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები;
დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტი) მონაცემები (ქსეროასლები) (ფიზიკური პირის შემთხვევაში);
ე) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, (რწმუნებულება) თუ იგი მოქმედებს სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირის სახელით. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს (წესდება, სასამართლოს დადგენილება დაფუძნების შესახებ, ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, პარტნიორთა (აქციონერთა) კრების ოქმი ან სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი (წესდების შესაბამისად) აუქციონში მონაწილეობის შესახებ).

ინფორმაცია განაცხადების მიღების შესახებ:
აუქციონი ჩატარდება 2013 წლის 26 ნოემბერს 15.00 საათზე, აუქციონის ჩატარების მისამართი: ქ.თბილისი, ბარათაშვილის ქ. N2, IV სართული, სააქტო დარბაზი.
აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება იწარმოებს 2013 წლის 19 ნოემბრიდან 2013 წლის 26 ნოემბრის ჩათვლით 12.00 სთ-დან 15.00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ბარათაშვილის ქ. N2, III სართული, ოთახი #319, სადაც შეგიძლიათ მიიღოთ დამატებითი ინფორმაცია.

დამატებითი ინფორმაცია:
საუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში (ჟურნალში) განაცხადის რეგისტრაციისა და მონაწილის ბილეთის შეძენის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. მონაწილის ბილეთის ფასი შეადგენს 50 ლარს, რომელიც ასევე უნდა იქნეს გადახდილი ს.ს. საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" ზემოაღნიშნულ ანგარიშზე.

აუქციონში გამარჯვებულის (მყიდველის) მიერ გადახდილი ბეს" თანხა ჩაითვლება ქონების საბოლოო გასაყიდი ფასის გადახდისას. სხვა მონაწილეებს, აუქციონში მონაწილეობის, აუქციონზე ვერ გამარჯვების შემთხვევაში გადახდილი ბეს" თანხა უბრუნდებათ უკან.

მონაწილეს უფლება აქვს ბე"-ს/საბანკო გარანტიის დაუკავებლად წერილობით უარი განაცხადოს აუქციონში მონაწილეობაზე, მხოლოდ განაცხადების მიღების პერიოდში - 2013 წლის 19 ნოემბრიდან 2013 წლის 26 ნოემბრის ჩათვლით 15.00 სთ-მდე. სხვა შემთხვევაში - აუქციონზე გამოუცხადებლობა, ან აუქციონში მონაწილეობის არ მიღება - გადახდილი ბეს" თანხა უკან არ უბრუნდება.

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ობიექტის მაქსიმალური გასაყიდი ფასის (არანაკლებ საწყისი სააუქციონო ღირებულებას დამატებული ერთი ბიჯის ოდენობა) გადახდა.

აუქციონის ორგანიზება ხორციელდება ს.ს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" 07.11.2011წ N291 ბრძანებით დამტკიცებული ს.ს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" კაპიტალში არსებული ან/და ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების გაყიდვის, აგრეთვე დროებით სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემის, წესის" შესაბამისად.

აღნიშნული ინფორმაცია შეგიძლიათ ასევე იხილოთ, ს.ს. საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" ინტერნეტ გვერდზე: www.gse.com.ge

ს.ს. საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"
საკონტაქტო პირი: გიორგი ოდიშვილი
ტელეფონი: ქალაქის-2-510-281 მობილურის 577 240-233

19-წლამდელთა ნაკრებმა ჰოლანდია 2:1 დაამარცხა და ჯგუფში ჩატოვა

ქართველი ფეხბურთელები გიორგი პაპუნაშვილის გოლით მე-11 წუთზე დაწინაურდნენ, ლუკა კიკაბიძის დარტყმის შემდეგ სტუმართა მეკარემ ბურთი კი მოიგერია, მაგრამ პაპუნაშვილმა დამატებაზე იყოჩაღა - 1:0. ჰოლანდიელებმა ანგარიშის გათანაბრება პირველი ტაიმისთვის დამატებულ დროში შეძლეს. გოლი გაიტანა ზივკოვიჩმა - 1:1.

51-ე წუთზე გამარჯვების გოლი მიითვალა გიორგი აბურჯანიამ, რომელმაც ჰოლანდიელთა საჯარიმოსთან კარგად ითამაშა და, მეკარესთან პირისპირ გასულმა, გადამწყვეტი გოლი გაიტანა. ამ ჯგუფის მეორე მატჩში უელსის ნაკრებმა მოლდოვა 6:0 დაამარცხა და ელიტ რაუნდში გავიდა! უელსელებმა მეექვსე, გადამწყვეტი გოლი, 89-ე წუთზე გაიტანეს.

ჰოლანდიელთა ჯგუფში ჩარჩენა კი, ცხადია, ვასილ მაისურაძის გუნდის კარგმა თამაშმაც განაპირობა. ქართველმა ფეხბურთელებმა 2012 წლის 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში განცდილი მარცხისთვის რევანში აიღეს.

დღესვე გორში 21-წლამდელ ფეხბურთელთა ნაკრებმა, რომელსაც ალექსანდრე ჩივაძე თავკაცობს, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მორიგი მატჩი გამართა და სლოვაკეთის ნაკრებთან 1:3 დამარცხდა. სლოვაკებმა ორგანიზებული გუნდის შთაბეჭდილება დატოვეს, ქართველი ფეხბურთელები ფიზიკურად საგრძნობლად დაჯაბნეს და მნიშვნელოვანი 3 ქულა მოიპოვეს.

ამ მარცხის შემდეგ საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებმა თითქმის დაკარგა მეორე ადგილზე გასვლისა და ფლეი ოფში თამაშის შანსი. 21-ე წუთზე ანგარიში გახსნა ვალერი ყაზაიშვილმა, 25-ე წუთზე კაროლ მესაროშმა გაათანაბრა, მეორე ნახევარში კი ონდრეი დუდამ და ივან შრანცმა გამოიჩინეს თავი.

სამინისტროს პრესსამსახური

„არწივებმა" რეიტინგში დაგვაქვეითეს

გიგა გურასაშვილი

ბორჯღალოსნებს «არწივებთან» ტესტ-მატჩში წაგება (23:25) მსოფლიო რეიტინგის 1,69 ქულის დაკარგვად და მეთექვსმეტე ადგილიდან მეჩვიდმეტეზე ჩამოქვეითებად დაუჯდათ. მდგომარეობის გამოსასწორებლად მესამე მატჩი გვაქვს, მაგრამ, საეჭვოა, შაბათს, მიხეილ მესხის სტადიონზე, სამოასთან სასურველ შედეგს მივაღწიოთ.

სამოელები მსოფლიო რეიტინგში მერვე საფეხურზე არიან და თავისი არსებობის განმავლობაში არაერთი ბობოლა გაუმწარებიათ. ასე რომ, ისღა დაგვრჩენია სანახაობით - სამხრეთული რაგბით დავტკბეთ, რომელსაც საქართველოს ნაკრები ჟინსა და თავდადებას დაუპირისპირებს.

«მანუ», რაც სამოელების მეტსახელია და გულადებს ნიშნავს, კანადისა და აშშ-ის ნაკრებების დარად, თბილისს დამარცხებული ეწვევა - ნოემბრის ტესტ-მატჩებში ორი თამაში ჩაატარეს და ორჯერვე დამარცხდნენ - 9 ნოემბერს ირლანდიასთან (9:40), 16 ნოემბერს კი კლერმონში, „ფრანგ ბარბაროსებთან» (19:20).

ირლანდიასთან მატჩის შემდეგ სადისციპლინო კომიტეტმა ჯორჯ პისის ნ-კვირიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერა. ასე რომ, საქართველოს წინააღმდეგ მისი თამაში გამორიცხულია.

საქართველოსა და სამოას გზები აქამდეც გადაკვეთილა - 2003 წლის ავსტრალიის მსოფლიო თასზე C ჯგუფში მოასპარეზე საქართველოს ნაკრებისთვის სამოასთან გაცნობა 9:46 წაგებით დასრულდა.

ისევ IRB რეიტინგს დავუბრუნდეთ. თავისი წილი ტესტ-მატჩები ითამაშეს ევროპის ერთა თასზე საქართველოს ნაკრების მეტოქეებმაც.

კანადელები ბორჯღალოსნებთან თბილისში წაგებული მატჩის შემდეგ რუმინეთს ეწვივნენ და ბოლო წუთზე გაშვებული ჯარიმის გამო იქაც დამარცხდნენ - 20:21.

«ნეკერჩხლის ფოთლებზე» გამარჯვებით იხეირეს მასპინძლებმა - «მუხის ფოთლებმა» 1,07 ქულა გამოიმუშავეს და საქართველოსთან რეიტინგში როქი გადაითამაშეს - მეთექვსმეტეზე აღზევდნენ.

რუსეთმა იაპონიას უმასპინძლა და პირველ ტაიმში იყოჩაღა - 13:13, მაგრამ მერე «ალუბლის ყვავილებმა» (იგივე «მამაცმა ყვავილებმა») აიშვეს და რუს «დათვებს» ოთხი ლელო დაუდეს, საბოლოოდ კი 40:13 გაიმარჯვეს.

ესპანეთი, რომელიც სამხრეთამერიკულ ტურნეშია, ჩილეს შემდეგ ურუგვაიში ჩავიდა და 15:16 დამარცხდა. სამხრეთ ამერიკაშია პორტუგალიაც, რომელიც ბრაზილიას ეწვია და მასპინძლები 68:0 დაამარცხა.

დღეს საქართველოს ნაკრები 0,56 ქულით უსწრებს აშშ-ს. თუ ამერიკელებმა ეს შაბათიც მოგებით დაასრულეს, მაშინ, შესაძლოა, საქართველოს ნაკრები მე-18 ადგილამდეც დაქვეითდეს. «არწივები» რუს «დათვებს» ხვდებიან.

თუ მილტონ ჰეიგის გუნდმა რეიტინგში მერვე ადგილზე მყოფი სამოას დამარცხება შეძლო, მაშინ იმავე რეიტინგის 1,91 ქულას შეიძენს და დაკარგული მე-16 ადგილის ხელმეორედ დაკავებით სტატუს კვოსაც აღადგენს. წაგების შემთხვევაში კი სულ რაღაც 0,1-0,15 ქულას დავკარგავთ, რადგან ჩვენსა და კუნძულელებს შორის რეიტინგში დიდი სხვაობაა.

რეიტინგში ცვლილებები არ შეხებია მონინავე ხუთეულს. პირველ ადგილზე კვლავ ახალი ზელანდიაა, თანაც, უკვე მეოთხე წელია (2009 წლის 16 ნოემბრიდან). მეორეზ ადგილია სამხრეთ აფრიკა, მესამეზე - ინგლისი... დანარჩენი აქვე მოცემულ რეიტინგშია.

IRB რეიტინგი:

1 (1). ახალი ზელანდია 93,81
2 (2). სამხრეთ აფრიკა 88,77
3 (3). ინგლისი 85,70
4 (4). ავსტრალია 85,65
5 (5). საფრანგეთი 81,44
6 (7). უელსი 80,98
7 (6). ირლანდია 79,33
8 (8). სამოა 79,24
9 (9). შოტლანდია 76,99
10 (10). არგენტინა 75,23
11 (11). იტალია 74,34
12 (13). ტონგა 73,21
13 (12). ფიჯი 72,87
14 (14). იაპონია 71,72
15 (15). კანადა 70,40
16 (17). რუმინეთი 68,81
17 (16). საქართველო 67,17
18 (18). აშშ 66,61
19 (19). რუსეთი 61,94
20 (20). ესპანეთი 60,95
21 (21). ურუგვაი 60,77
22 (22). პორტუგალია 59,72
23 (23). ნამიბია 58,79
24 (24). კორეა 58,10
25 (25). ბელგია 57,52
26 (26). გერმანია 56,20
27 (27). ჩილე 55,44
28 (29). მოლდოვა 55,11
29 (28). ჰონკონგი 54,56
30 (32). ზიმბაბვე 53,56
...